სპორტი

სპორტული გაზეთი | შაბათი 15 მაისი 2004 №109 (2128) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთის სინამდვილე: არასინამდვილე

დღეს იჭნება ალმასკ ოში

ბოლო ხანს ქართულ სტადიონებზე მაყურებელმა იმატა. თუმცა რატომ, ძნელი სათქმელია.

ბოლო ხანს ტიტულებისა და ევროპის საგზურებისთვის ბრძოლაც გამწვავდა. თუმცა რატომ, ესეც ძნელი სათქმელია.

რა უნდა ევროპაში გუნდს, რომელმაც იქ ფორმალურად უნდა გააგოროს ბურთი?

ანდა, რა უნდა სტადიონზე მაყურებელს, როცა ჩვენს ფეხბურთში ფეხბურთი კი არ არის მთავარი, არამედ ფეხბურთის მიღმა არსებული საფეხბურთო სამყარო.

ქართული საკლუბო ფეხბურთის ამბავი სხვა ქართულ ამბებს ჰგავს. მაგალითად, ვინმე მდიდარი კაცი მოისურვებს, რომ თავისი შვილი უმაღლეს სასწავლებელში მოაწყოს და ამის გულისთვის მრავალათასიან ქრთამს გაიღებს. იმ კაცს ეშლება: თუკი ამდენი ფული აქვს, ხომ სჯობს, შვილს უცხოეთში, ყოველგვარი ქრთამის გარეშე ასწავლოს და მართლა ნასწავლი და მცოდნე შვილი ჰყავდეს. მაგრამ, მეორე მხრივ, იმ კაცს არც ეშლება: მისი შვილი ისე გაიზარდა, რომ არაფერი უსწავლია და ნამდვილი სწავლაც არ შეუძლია. ამიტომ კაცი იძულებულია, რომ შვილს მოგონილი სამყარო შეუქმნას, ვითომ ასწავლოს და ამისთვის არც თანხა დაზოგოს და არც მარიფათი. შვილი მაინც უსწავლელი გამოვა, მაგრამ ნასწავლის იერი კი ექნება. ყველას ეცოდინება, რომ უსწავლელია, მაგრამ რახან ასეთი ქვეყანაა, რომ ვიოლინოს ყუთია მთავარი და არა თვითონ ვიოლინო, იერი გაქაჩავს.

ზუსტად ასეთი ვითარებაა დღევანდელ ქართულ საკლუბო ფეხბურთშიც.

რისთვის ბობოქრობენ კლუბები და რას ართმევენ ერთმანეთს, ძნელი სათქმელია. ქართულ ფეხბურთში მართლა წასართმევი, მართლა ისეთი, რომ სპორტული ფასი ჰქონდეს, ჯერჯერობით არაფერია, ღმერთმა ქნას კი, რომ იყოს.

ამგვარი სახელისთვის ბრძოლა სახალისო საცქერი კი არის, მაგრამ თანაც მძიმე საცქერია. სანამ ჩვენს ქვეყანაში მოგონილს ნამდვილი არ შეცვლის, სულ ასე იქნება. ასევე იქნება ჩვენს ფეხბურთშიც. იბრძოლებენ: ხალხისთვის — ვითომდა მოედანზე, თავისთვის — მოედანს მიღმა.

საბრძოლო საგანი ნამდვილ ქვეყნებში და ნამდვილ ფეხბურთში სულ სხვაა — მას საფუძვლად სპორტის არსი უდევს.

ჩვენნაირ ქვეყნებში და ჩვენნაირ ფეხბურთში საბრძოლო საგანი სინამდვილეში არც არსებობს, არასინამდვილეში კი მას რატომღაც ჰქვია ტიტული, საგზური და ასეთი რამეები. არასინამდვილეში ყველაფერი მოგონილია და, სამწუხაროდ, ჩვენს ფეხბურთშიც.



ბუდრუ ჯეიდლაძის ფოტო

ქართულ ფეხბურთში ძველი და ჩვეული ვნება-გრძნობანი შეშინებული მტრედებივით წამოიშალნენ... რაღაც ახალი, ქორივით დაუნდობელი მოდის... დღეს თბილისი – დინამო გაირჩევა

ასეთი ქვეყანაა, ვიოლინოს ყუთია მთავარი და არა თვითონ ვიოლინო

კეირუშს კამაჩო შეცვლის, ცხონებულ ხილს ვერავინ

გუშინ მადრიდში 71 წლისა ინსულტით გარდაიცვალა ხესუს ხილი ხილი, ვინაც მთელი ეპოქა შექმნა იქაურ ფეხბურთში და რომ არა ეს ცნობა, გუშინდელი მთავარი მადრიდული ამბავი „რეალის“ მწვრთნელად ხოსე ანტონიო კამაჩოს შესაძლო დანიშვნა გახდებოდა.

ხესუს ხილი თითქმის სამი ათეული წელი იყო „ატლეტიკოს“ პრეზიდენტი და ორ ათეულზე მეტი მწვრთნელი მიიყვანა და გაუშვა ამ წლების მანძილზე. მსოფლიო სპორტული პრესა მას თავქარიან, ექსტრავაგანტულ, გაქნილ და სხვა მისთანა ეპითეტებით მოიხსენიებდა. ყველა ეს ეპითეტი სწორი იყო, ხილს ბევრი ცოდვაც ჰქონდა.

მის წინააღმდეგ მოაწყვეს ბევრი სასამართლო პროცესი, დაადანაშაულეს ადამიანთა დაღუპვაშიც, ამ ხილეს ფულის გათეთრებასა და მითვისებაში, რამდენჯერმე ჩასვეს ციხეშიც და მის წინააღმდეგ წაყენებული ყოველი ბრალდება სამართლიანი იყო, მაგრამ ხილმა „ატლეტიკოში“ მთელი ეპოქა შექმნა და ამადაც შერჩა ისტორიას.

ამ ამბავმა კი, როგორც თავში მოგახსენეთ, დაჩრდილა მეორე ცნობა — კარლოს კეირუშის მაგიერ „რეალს“ ხოსე კამაჩო მოჰყავსო.



ნიკოლოზ დოლიძე

დავით პეტრიაშვილი

დღეს ალმასკომია
დღის წესრიგშია უწესრიგობა

დღეს ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომი შეიკრიბება და იმ საკითხების გარდა, რაც დღის წესრიგშია და რის დამტკიცებასაც დიდი დრო არ უნდა დასჭირდეს, ამ კვირის სკანდალური ამბავიც გაირჩევა და ეგებ დიდი ხმაურიც მოჰყვეს.

მოგეხსენებათ, 9 მაისის „თბილის"—„დინამოს" საჩემპიონო მატჩს დიდი ამბები მოჰყვა: ლაპარაკია, თამაშამდე „დინამოს" მესვეურების დავალებით მსაჯ კახა მესხს დაურეკეს და დააშინესო. ეს ფაქტი თავად მსაჯმა მატჩის ინსპექტორთან აღიარა, რასაც, ბუნებრივია, ფედერაციის, პროფლიგისა და „თბილისის" ხელმძღვანელთა რეაქცია მოჰყვა, ასევე ბუნებრივია, რომ მსაჯის დაშინების მცდელობას უარყოფს კიევიდან დღეს დაბრუნებული „დინამოს" უფროსობა.

მოკლედ, დღეს ფედერაციის ალმასკომზე, რომელიც 2 საათზეა დანიშნული, მსაჯ მესხის გარდა ინსპექტორი გუნთაძე და ორივე გუნდის წარმომადგენლებიც არიან დაბარებულნი. თუმც „თბილისის" ერთ-ერთი დამფუძნებელი ნიკოლოზ დოლიძე და „დინამოს" მმართველი დირექტორი დავით პეტრიაშვილი ისედაც ალმასკომის წევრები არიან.

დღის წესრიგში კი, რაც ფედერაციამ მოგვაწოდა, ის საკითხებია ჩამოთვლილი, ფაქტობრივად გადაწყვეტილიც რომ არის. ალმასოკმმა უნდა დაამტკიცოს ქვეყნის ნაკრები გუნდების მწვრთნელები, ფედერაციის ახალი სტრუქტურა და ამ სტრუქტურიდან გამომდინარე იმ მიმართულებებისა თუ სამსახურების უფროსები, რომლებსაც ფედერაცია პრიორიტეტულად თვლის.

ძობა ინასარიძე

ინგლისი
პირველი დივიზიონი
პლეი ოფი. პირველი მატჩი
კრ. პალასი 3:2 სანდერლენდი

გერმანია
სამხრეთ რეგიონალლიგა
XXXI ტური
შტუტგარტი (მ) 4:2 აალენი
ჰოფენჰაიმი 2:0 ზიგენი
ეშბორნი 2:3 ოფენბახი
ფოიხტი 1:1 ერფურტი

ავსტრია
I დივიზიონი. XXXV ტური
ავსტრია (ლ) 2:0 ვიორგლი
ტიროლი 5:3 ლუსტენაუ
უნტერზიბენბრიუნი 3:4 ლეობენი
კაპფენბერგი 3:1 ბლაიბერგი
რიდი 1:1 ლინცერი

თურქეთი
სუპერლიგა. XXXIV ტური
ფენერბაჰჩე 2:4 მალათია

ირლანდია
პრემიერლიგა. XI ტური
უოტერფორდი 0:1 ბოჰემიანსი
კორკ სიტი 1:1 შემროკი
შელბურნი 1:0 დერი სიტი
სენტ პატრიკსი 0:2 დროჰედა

ჰოლანდია
მეორე დივიზიონი
XXXVIII ტური
ვენლო 2:4 აპელდორნი
დორდრეხტი 2:2 ოსი
ჰაარლემი 1:0 კამბური
იგლსი 0:2 ჰერაკლესი
ჰელმონდი 1:1 ეძსელსიორი
გრააფსხაპი 1:0 მაასტრიხტი
ემენი 4:3 ტელსტარი
სიტარდი 3:4 ეინდჰოვენი
დენ ბოსხი 3:2 ვეენდამი

ბელგია
იუპილერლიგა
XXXIV ტური
ბეერსხოტი 1:2 სტანდარდი

იტალია
სერია B. XLII ტური
კალიარი 3:1 ტრიესტინა

ესპანეთი
პრიმერადივიზიონი
XXXVII ტური
ვილიარეალი 2:1 ვალენსია

პოლონეთი
პირველი ლიგა. XXIII ტური
ლეხი 1:0 პოლონია
ლეგია 3:1 სვიტი

სარბიელელები სამძიმარს გუცხადებთ გოჩა გოგრიჭიანს ძმის, გია გოგრიჭიანის გარდაცვალების გამო

ფკ „ამერის" საფეხბურთო სკოლა თანაუგრძნობს ირაკლი გოგრიჭიანს მამის, გია გოგრიჭიანის გარდაცვალების გამო

საქართველოს პირველი ლიგა 15 ჩემპიონატი მეორე წრე 28 ტური

ამერს ამერიკა არ აღმოუჩინეს
თამაშს სახელები არ იგებენ

თბილისი. 14 მაისი. 18 საათი. ეროვნული. 350 მაყურებელი

ამერი 0:1 დინამო 2

0:1 კვიტაიშვილი (5)	
ამერი: ასლანაძე, კედელაშვილი, დავითნიძე, ხვადაგიანი, სილაგავა, განუგრავა, გარუჩავა, ვერემჩუკი (წინამძღვრიშვილი 74), ნიკოლაიშვილი (შონია 46), კაიდარაშვილი, რუსია. მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე	დინამო 2: ჩალაძე, მარკოზაშვილი, ექონია, ხუბუტია, ქუცურუა, მახარაძე, (მერებაშვილი 67), ნავალოვსკი (დვალი 75), გოგობერიშვილი, ჩირიკაშვილი, დვალიშვილი (დათუნაშვილი 62), კვიტაიშვილი. მწვრთნელი: ხვიჩა ქასრაშვილი
გაფრთხილება: ხვადაგიანი (83)	
მსაჯები: ა. შილაკაძე; ხ. გაგნიძე, კ. ბერაძე; მ. მალაღურაძე	

ამერელთა კაპიტან გიორგი დავითნიძისთვის გუშინდელი მარცხი ძალიან მწარე გამოდგა

დავით თავართქილაძე

„ამერმა" ზედიზედ მესამე მატჩი წააგო და ცოტა ხნის წინ უმაღლეს ლიგაში გადასვლაზე მოფიქრალმა გუნდმა ახლა პირველ ლიგაში დარჩენისთვის უნდა იბრძოლოს.

თამაშს სახელები კი არა, სპორტსმენები, პროფესიონალები და კაცები იგებენ — განაცხადა ნამატჩევს „ამერის" დამრიგებელმა გიორგი ჩიხრაძემ.

თქმა არ უნდა, მწვრთნელმა პირველ რიგში „ამერის" იმ ფეხბურთელთა ბოსტანში ისროლა ქვა, უმაღლეს ლიგაში ბევრი რომ უთამაშიათ, უნახავთ და სახელიც დაუგდიათ. ასეთი ფეხბურთელი „ამერს" 6-7 მოეძევება, მაგრამ „დინამო 2"-ის ჭაბუკებმა მათ იქით აჯობეს. თანაც დინამოელებს ნახევარი გუნდი კიევში ჰყავდათ გადასროლილი პირველი „დინამოსთვის", რომელიც ვალერი ლობანოვსკის ტურნირზე გამოდიოდა.

ვერავინ იტყვის, ამერელებმა უგულოდ ითამაშესო, მაგრამ გუშინ „ამერი" თამაშის მომგებ გუნდს არ ჰგავდა, ფრე მისთვის მაქსიმუმი იქნებოდა. „ამერს" რამდენჯერმე შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ როცა ბურთი მეტოქის კარში არ შედის, უნდა შეთხარო, მაგრამ ამის შნო და უნარი „ამერს" არ აღმოაჩნდა.

„დინამო 2" კი მეორე ეტაპზე მართლაც ჩინებულად თამაშობს. მისი უწინდელი მწვრთნელი გია გეგუჩაძე ახლა პირველ „დინამოს" თავკაცობს და პირველ რიგში სწორედ მისი დამსახურებაა, „დინამო 2" ნიათიან და სწორ ფეხბურთს რომ თამაშობს. თუმც მის ყოფილ თანაშემწე ხვიჩა ქასრაშვილსაც როდი დაეწუნება გუნდი — აკაკი ხუბუტია, ზურაბ ექონია, გიორგი ქუცურუა, გიორგი ნავალოვსკი, გიორგი კვიტაიშვილი — ამ ფეხბურთელებს და მათ თანაგუნდელებს უკვე შეუძლიათ, მათზე ბევრად გამოცდილ მოთამაშეებს რეტი დაასხან.

...დინამოელთა საგოლე შეტევა ალეკო გოგობერიშვილმა წამოიწყო, შემდეგ ნავალოვსკიმ „ამერის" საჯარიმოში ჩააგდო ბურთი, სადაც ყველაზე მარჯვე კვიტაიშვილი გამოდგა — შორეულ კუთხეში გაუტანა დავით ასლანაძეს.

პირველ ტაიმში „დინამოს" ერთხელაც მიეცა შანსი, მაგრამ ირაკლი ჩირიკაშვილმა ასლანაძის შეცდომით ვერ ისარგებლა და 17-18 მეტრიდან ცარიელ კარს ააცილა. ამერელთგან გიორგი დავითნიძე და გიორგი სილაგავა დაემუქრნენ „დინამოს", მაგრამ ბურთი არცთუ ძლიერად დაუშინეს ზვიად ჩალაძეს ხელებში.

შესვენების შემდეგ პირველ ოც წუთში საინტერესო არაფერი მომხდარა, მერე კი „ამერმა" სამჯერ გაიწია მეტოქისკენ, მაგრამ დიმიტრი ვერემჩუკის, მამუკა რუსიას და დავითნიძის დამაგვირგვინებელი დარტყმები საგოლე არ გამოდგა. ამერელთაგან სილაგავა უნდა გამოვარჩიოთ, რომელმაც რამდენჯერმე გაამწვავა თამაში. ხვიჩა ქასრაშვილის გუნდს კი ანგარიშის გაზრდის საუკეთესო შანსი მაშინ ჰქონდა, როცა ჩირიკაშვილმა ერთი ამერელი კარგად ჩამოიცილა, მაგრამ ოდნავ მახვილი კუთხიდან ძლიერად ვერ გაისროლა.

მატჩის მიწურულს „ამერმა" თითქოს ბოლო ძალა მოიკრიბა, „დინამოს" მარწუხი შემოუჭირა, მაგრამ ეს საგოლედ საკმარისი არ აღმოჩნდა.



ირაკლი ჩირიკაშვილმა კარს კარგად ვერ დაუმიზნა

მილანი 2:0 სამგურალი
ცხინვალი 0:0 ივერია
რუსთავი 0:1 ოლიმპი
თსუ 0:0 გურია
ჩიხურა 1:0 ვიტ ჯორჯია მცხ.
ლოკომოტივი 2 2:4 მეტალურგი
ქობულეთი 4:2 ლუკა

ქობულეთი	27	17	3	7	50:26	54
სამგურალი	28	15	7	6	34:18	52
დინამო 2	27	15	4	8	66:30	49
რუსთავი	28	15	3	10	44:29	48
მილანი	28	14	6	8	36:25	48
ოლიმპი	28	13	7	8	36:31	46
ჩიხურა	28	13	5	10	35:26	44
ცხინვალი	28	12	7	9	41:23	43
გურია	28	12	6	10	35:34	42
თსუ	28	11	8	9	45:28	41
ვიტ ჯორჯია-მცხ.	28	11	8	9	29:20	41
ამერი	28	11	7	10	31:23	40
ივერია	27	10	6	11	22:35	36
ლოკომოტივი 2	28	6	1	21	21:74	19
ლუკა	27	5	1	21	27:67	16
მეტალურგი	28	2	1	25	18:83	7

ლობანოვსკის ტურნირი
კიევი. 12-14 მაისი

კიევი. 14 მაისი. 17 საათი. ვალერი ლობანოვსკი. 9 000 (ტევადობა 20 000)

დინამო 0:1 სკონტო

0:1 მიხოლაპსი (39)

მიხოლაპსმა ვერ გაიტანა პენალტი (48, მეკარე)

დინამო: ზოიძე, შაშიაშვილი (სილაგაძე 64), გიგაური, კანდელაკი, ბურდული (კაწკავა 45), გრიგალაშვილი, ხმალაძე (რომერო 68), კვირკველია, ანჩაბაძე, ს. იაშვილი (დვალი 46), ახალაია (მელქაძე 67)
მწვრთნელი: გია გეგუჩაძე

სკონტო: პიედელსი, ისაკოვსი, დედურა, ნგუიმბატი, ვიშნიაკოვი, ყიფიანი (კოლესნიჩენკო 59), ბუიტკუსი, ბლანკსი (სემიონოვსი 64), მენთეშაშვილი, მიხოლაპსი (სტარკოვსი 79), კალნინში
მწვრთნელი: ალექსანდრ სტარკოვსი

გაფრთხილება: მენთეშაშვილი (37), დედურა (89)

დინამოს საქმე ვიტ ჯორჯიაა

თბილისის „დინამომ" ლობანოვსკის ტურნირის მეორე მატჩიც წააგო და კიევს ისე დაემშვიდობა, გოლი არ გაუტანია. გია გეგუჩაძის შეგირდებს ამჯერად კიდევ ერთმა გაუხსენა ესენგეს თასის წყენა — „სკონტომ" თანამეგობრობის თასზე წაგება კიევში აინაზღაურა, „დინამოს" 1:0 მოუგო და მესამე ადგილი დაიკავა.

თბილისელებმა წინა მატჩისგან ოდნავ განსხვავებული შემადგენლობით ითამაშეს. ძირითადში გამოჩნდნენ ირაკლი ზოიძე, დავით კვირკველია, გიორგი შაშიაშვილი და გიორგი ანჩაბაძე. განაცხადშიც არ იყო ტრავმირებული შოთა კაშია.

მატჩი მოსაწყენი გამოდგა. სახიფათო მომენტები იშვიათად იქმნებოდა, თუმცა, ირაკლი ზოიძეს სანერვიულო არ ჰქონდაო, ვერ ვიტყვით. პირველად მის კარს კალნინში დაემუქრა, მაგრამ დარტყმა უზუსტო გამოუვიდა. 25-ე წუთზე კი ზოიძემ ისაკოვსის დარტყმული მოიგერია.

დინამოელებმა მალევე გამოიღეს ხელი, მაგრამ „სკონტო" უფრო აგრესიული ჩანდა და ჩვენებურთა შეტევებმა ამიტომაც ვერ გასტანა დიდხანს.

რიგელთა შორის სასტარტოში პირველად ითამაშა გიორგი ყიფიანმა — მან ნახევარფინალში დაშავებული ლევან კორღალიძე შეცვალა და ერთ-ერთი საუკეთესოც იყო ლატვიელთა შორის.

მატჩის ერთადერთი გოლი 39-ე წუთზე გავიდა. სკონტოელებმა „დინამო" ხელოვნური თამაშგარეს გაკეთებისას დაიჭირეს, მიხოლაპსმა ბურთს თავი ჰკრა, ზოიძემ მოიგერია, მაგრამ ბურთთან ისევ მიხოლაპსი გაჩნდა და ორი მეტრიდან გატანა აღარ გასჭირვებია. ორიოდ წუთში დინამოელებს ანგარიშის გათანაბრება შეეძლოთ, მაგრამ რიგელთა მეკარე შორიდან დარტყმულს გაუმკლავდა.

მეორე ტაიმიც „სკონტოს" კარნახით დაიწყო. 48-ე წუთზე ბლანკსის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი მიხოლაპსმა ვერ გამოიყენა — ზოიძემ ბრწყინვალე ნახტომით იხსნა კარი, თუმც ეს მოსატანიც არაა 52-ე წუთზე მომხდართან შედარებით — ქართველმა მეკარემ კალნინშს ორი მეტრიდან ისეთი თავური აულო...

თბილისელებმა ბოლო ხუთ წუთში გამოიღვიძეს და ისეთი მომენტები გაანიავეს, რიგელებსაც გაუკვირდათ — ჯაბა დვალის თავურს პიედელსი გაუმკლავდა, დამატებაზე კი ლევან მელქაძემ ცარიელ კარს ვერ დაუმიზნა. ბოლოს დავით კვირკველიას ყუმბარისებური დარტყმა იყო, მაგრამ ბურთი ოდნავ ასცდა კარს.

ამგვარად, „სკონტომ" 1:0 მოიგო და შინ ბრინჯაოს მედლები გაიყოლა, „დინამოს" კი ამ ტურნირზე სერიოზული მიზნები ისედაც არ დაუსახავს და ამაში ვერც ვერავინ დასძრახავს. გია გეგუჩაძის ბიჭებს ახლა ურთულესი მატჩი ელით „ვიტ ჯორჯიასთან", რამაც შესაძლოა, დიდი გავლენა მოახდინოს საქართველოს ჩემპიონატის სატურნირო ცხრილზე და ეჭვი არაა, დინამოელები კიევში თავის გადაღლას მოერიდებოდნენ. გეგუჩაძემ „შერიფთანაც" და „სკონტოსთანაც" განსხვავებული შემადგენლობით ათამაშა გუნდი და თან სხვებთან შედარებით გამოუცდელ და ახალახან გამოჯანმრთელებულ ფეხბურთელებს დაეყრდნო.

„დინამო" თბილისში წუხელ ჩამოფრინდა და დღეიდან სწორედ „ვიტ ჯორჯიასთან" სათამაშოდ მზადებას იწყებს.

ბაჩა შალამბერიძე

„დინამო" — „სკონტო" 0:1. ქართველები და ერთი ზანგი: დავით კვირკველია (ბურთით), გიორგი ანჩაბაძე, გიორგი ყიფიანი (მარცხნივ) და ზურაბ მენთეშაშვილი

ფინალი

დინამო (კიევი, უკრაინა) 4:0 შერიფი (ტირასპოლი, მოლდოვა)
1:0 შაცკიხი (6), 2:0 ვერპაკოვსკისი (14), 3:0 ნესმაჩნი (55), 4:0 ჩერნატი (84)
დინამო: რევა, ამისულაშვილი (ფიოდოროვი 77), გავრანჩიჩი, ნესმაჩნი, გიოანე (ალესანდრო 64), ლეკო (ბიდნენკო 69), პეევი, ალიევი, ბელკევიჩი (ჩერნატი 57), ვერპაკოვსკისი (რინკონი 46), შაცკიხი (მილევსკი 57)
მწვრთნელი: ალექსეი მიხაილიჩენკო
შერიფი: ხუცანი (პაშჩენკო 74), გუმენიუკი, თარხნიშვილი, პრიგანიუკი, ლაკუსტე, ბლანკო (ჟოარი 71), ივანოვი (დე ლიმა 65), ბარიშევი (იაროსლავსკი 74), ბელოუსი (შიმანი 59), კუზნეცოვი (ბრაუნი 50), ნესტერუკი (ბიჩკოვი 50)
მწვრთნელი: ლეონიდ კუჩუკი
გაფრთხილება: იაროსლავსკი (83)

სლავური ბაზარი
ძოძუაშვილი შინიკს ელაპარაკება

რუსეთის თასის ნახევარფინალში გროზნოს „ტერეკთან" დამარცხებული იაროსლავლის „შინიკი" უმწვრთნელოდაა. ალექსანდრ პობეგალოვის შემცვლელი კლუბის ხელმძღვანელობას ჯერ ვერ მოუძებნია, თუმც კანდიდატთა ვინაობა უკვე გაჟღერდა — ალექსანდრ სტარკოვსი, ევგენი კუჩერევსკი და რევაზ ძოძუაშვილი.

რუსი ჟურნალისტების თქმით, „შინიკს" ამ სამეულიდან რომელიმე უთავკაცებს. შეგახსენებთ, რომ სტარკოვსი რიგის „სკონტოს" და ლატვიის ნაკრების თავკაცია. ამის გათვალისწინებით, ცხადია, ძნელი სავარაუდოა, ლატვიელი „შინიკის" გაწვრთნას დათანხმდეს. ჩვენებური რევაზ ძოძუაშვილი კი, ვინც ბოლოს ვლადიკავკაზურ „ალანიას" წვრთნიდა, უკვე აწარმოებს იაროსლავლელებთან მოლაპარაკებას. ეს საკითხი უახლოეს დღეებში უნდა გაირკვეს.

ბაჩა შალამბერიძე



თუ გადავრჩით...
მთელი ბათუმი იმედის ბულვარია

„ბათუმს" ახალი პრეზიდენტი ჰყავს — რევაზ ჩელებაძე. ბათუმელებს ამჟამად ერთი ფრიად მნიშვნელოვანი პრობლემა აქვთ მოსაგვარებელი: დარჩენილ ორ მატჩში ქულათა მაქსიმუმის აღება უნდა შეძლონ, რათა უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად საპლეიოფო მატჩები არ დასჭირდეთ.

კლუბში შექმნილ ვითარებასა და პერსპექტივებზე ბათუმელთა მწვრთნელი და გუნდის უფროსი ასლან ბალაძე გვესაუბრება

— ბოლოდროინდელი ამბების შემდეგ რა მდგომარეობაა თქვენს კლუბში?

— ნორმალური სიტუაციაა. ქალაქში ახლა ეგრეთ წოდებული გარდამავალი პერიოდია. ჩვენ ქალაქისა და საპრეზიდენტო საბჭოს ხელმძღვანელობას შევხვდით. დამაიმედებელი დაპირებები მივიღეთ. რაც მთავარია, ქალაქის სათავეში მოვიდა ახალგაზრდული გუნდი. მათ ფეხბურთი უყვართ და სურთ, რომ ბათუმმა თავისი სიტყვა თქვას საქართველოს ჩემპიონატში.

— თქვენ ხშირად საუბრობდით იმ ფინანსურ კრიზისზე, „ბათუმში" რომ შეიქმნა...

— გუნდში მართლაც რთული ვითარება იყო. ბოლო სამი თვეა, ფინანსურად არავინ დაგვხმარებია. თუმცა ამის ხმამაღლა თქმას ვერიდებოდით. ალბათ ადვილი მისახვედრია, რატომაც. მართლია, სპონსორები გვყავდა, მაგრამ მათი სახელები მხოლოდ ქაღალდზე ფიქსირდებოდა, რეალურად საქმე არ კეთდებოდა.

— ქალაქის ხელმძღვანელობასთან შეხვედრისას თუ ილაპარაკეთ იმ გეგმაზე, რომელიც თქვენს კლუბს ჩვეულ ადგილს დაუმკვიდრებს ქართულ ფეხბურთში?

— ცხადია, ჩვენი შეხვედრა მხოლოდ ზოგადი ფრაზებით არ შემოფარგლულა, კონკრეტულ საკეთებელზეც ვილაპარაკეთ.

— ახალი სეზონიდან „ბათუმი" შეცვლილი შემადგენლობით ითამაშებს?

— თუ გუნდს დაპირებული პირობები შეექმნა, ვფიქრობ, ბათუმში სათამაშოდ ძლიერი ფეხბურთელები სიამოვნებით წამოვლენ.

— კლუბის პრეზიდენტად რევაზ ჩელებაძის დანიშვნას როგორ შეხვდნენ გუნდში?

— ამას ყველა სიხარულით შეხვდა. ის ჩვენებური კაცია და კარგად იცის, შექმნილ სიტუაციაში როგორ უნდა იმოქმედოს. იგი ახლა კიევშია, იქიდან რომ ჩამოვა, შეიძლება, მთლიანად აჭარის ფეხბურთის საქმეები ჩააბარონ.

— „ბათუმს", ვიდრე ფეხზე დადგებოდეს, უმაღლეს ლიგაში ადგილი აქვს შესანარჩუნებელი...

— ჩვენი კლუბი ასეთ მძიმე მდგომარეობაში არ ყოფილა. ურთულესი თამაში გველის „მცხეთასთან". შემდეგ „კოლხეთს" ვმასპინძლობთ. ფაქტობრივად, ორ უშუალო კონკურენტთან გვიწევს საქმის გარკვევა. ძნელი იქნება, მაგრამ ადგილის შესანარჩუნებლად ყველაფერს გავაკეთებთ.

— „ბათუმი", ფაქტობრივად, სტადიონისა და სავარჯიშო ბაზის გარეშეა დარჩენილი. ასეთ მდგომარეობაში სერიოზულ მიზნებზე ვერ იფიქრებ...

— სტადიონს აუცილებლად გააკეთებენ. იყო აზრი, სტადიონი სხვაგან აშენებულიყო, მაგრამ ამაზე კარგ ადგილს, ჩვენი სტადიონი რომაა, საქართველოში კი არა, ევროპაშიც ვერ ნახავ. ამიტომაც გადაწყდა მისი რეკონსტრუქცია. როგორც ვიცი, უკვე გამოჩნდნენ ინვესტორები, რომლებიც დიდი თანხების ჩადებას აპირებენ ამ საქმეში. ბაზის საკითხიც მოგვარდება. ამის მერე კი, მჯერა, ჩვენს ქალაქში ისევ დაიწყება საფეხბურთო ბუმი, ისეთი, ამ 10 წლის წინ რომ იყო. სტადიონი კი ისეთი გვექნება, მასზე თამაშს საქართველოს ნებისმიერი ასაკის ნაკრები შეძლებს. მოკლედ, მომავალს იმედით ვუყურებთ.

დავით ერაძე

საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. 15 ტური. მეორე წრე. ანონსი

I-VI ადგილები					
დინამო	8	3	3	2	12:6	37
სიონი	8	4	3	1	11:5	35
ვიტ ჯორჯია	8	4	2	2	6:2	35
თბილისი	8	3	4	1	11:6	31
ლოკომოტივი	8	1	4	3	5:9	24
დილა	8	0	2	6	1:18	19

VII-XII ადგილები						
ტორპედო	8	5	2	1	15:6	34
კოლხეთი	8	4	3	1	9:4	27
მცხეთა	8	4	3	1	7:3	25
ბათუმი	8	3	0	5	5:10	25
სპარტაკი	8	3	1	4	7:7	18
მერცხალი	8	0	1	7	1:14	6

თბილისი. 16 მაისი. 18 საათი. ოლიმპიკი
სპარტაკი — მერცხალი

ფოთი. 16 მაისი. 18 საათი. ფაზისი
კოლხეთი — ტორპედო

თბილისი. 16 მაისი. 18 საათი. ლოკომოტივი
მცხეთა — ბათუმი

ქართული სუპერმარკეტი გერმანულად

ლევან კობიაშვილი (შალკე)
20.07.1977
სატრანსფერო ღირებულება:
2 000 000



ლევან ცქიტიშვილი (ფრაიბურგი)
10.10.1976
სატრანსფერო ღირებულება:
1 100 000



ალექსანდრე იაშვილი (ფრაიბურგი)
23.10.1977
სატრანსფერო ღირებულება:
1 150 000

გიორგი გახოკიძე (ტვენტე)
05.11.1975
სატრანსფერო ღირებულება:
650 000



დავით მუჯირი (შტურმი)
20.01.1978
სატრანსფერო ღირებულება:
300 000

გერმანულმა სააგენტო „ტრანსფერმარკეტმა“ სხვათა გარდა ქართველი ფეხბურთელების სატრანსფერო ფასებიც გამოაქვეყნა. გერმანელი ექსპერტები მოთამაშეთა ასაკის და ახლანდელი საბაზრო ფასის გარდა იმასაც გადასწვდნენ, თუ რა თანხა დაჯდა ზოგიერთი ქართველი ფეხბურთელის გუნდიდან გუნდში გადასვლა, ანუ მათი უწინდელი სატრანსფერო ფასებიც გამოამზეურა.

ვინძლო, „ტრანსფერმარკეტის“ მონაცემები უზუსტესი არაა, მაგრამ ფასები ალბათ მიახლოებით ასახავს სინამდვილეს. თანაც, ახლა სადაცაა სატრანსფერო ბაზარი მთელი სიმძლავრით ამოქმედდება და „ტრანსფერმარკეტის“ ცნობები ინტერესმოკლებული ნამდვილად არ არის. ისიც უნდა ვთქვათ, რომ გერმანელებმა ფასები ევროებში დაიანგარიშეს



გიორგი ქინქლაძე (უგუნდო) 06.07.1973
წინა ტრანსფერების ფასები:
თბილისის „დინამოდან“ „ბოკა ხუნიორსში“ — 7 500 000,
„ბოკა ხუნიორსიდან“ „მანჩესტერ სიტიში“ — 4 000 000,
„აიაქსიდან“ „დერბი ქაუნთიში“ — 6 000 000



მიხეილ ყაველაშვილი (აარაუ)
22.07.1971
სატრანსფერო ღირებულება:
350 000

მიხეილ აშვეთია (ლოკომოტივი მ.)
10.11.1977
სატრანსფერო ღირებულება:
2 500 000



კახა კალაძე (მილანი) 27.02.1978
სატრანსფერო ღირებულება
11 000 000.
წინა ტრანსფერის ფასი:
კიევის „დინამოდან“ „მილანში“ — 20 000 000



გიორგი ნემსაძე (დინამო, თბილისი)
05.10.1972
სატრანსფერო ღირებულება:
500 000

მალხაზ ასათიანი (ლოკომოტივი მ.)
04.08.1981
სატრანსფერო ღირებულება:
900 000



შოთა არველაძე (რეინჯერსი)
22.02.1973
სატრანსფერო ღირებულება:
6 000 000.
წინა ტრანსფერის ფასი: „აიაქსიდან“ „რეინჯერსში“ — 4 500 000



ზურაბ ხიზანიშვილი (რეინჯერსი)
06.10.1981
სატრანსფერო ღირებულება:
1 800 000

დავით სირაძე (უნიონი)
22.10.1981
სატრანსფერო ღირებულება:
150 000



ხვიჩა შუბითიძე (აუე)
31.08.1974
სატრანსფერო ღირებულება:
200 000



რევაზ გოცირიძე (ვიტ ჯორჯია)
17.01.1981
სატრანსფერო ღირებულება:
100 000

ვალერი ზირაჭაძე (არისი, სალონიკი)
19.04.1978
სატრანსფერო ღირებულება:
250 000



გიორგი დეკანოსიძე (ვიტ ჯორჯია)
02.01.1981
სატრანსფერო ღირებულება:
100 000

ვალერი აბრამიძე (უგუნდო)
17.01.1980
სატრანსფერო ღირებულება:
50 000

ვფიქრობთ, უინტერესო არც ის უნდა იყოს, თუ რომელ სააგენტოებთან აქვთ კავშირი ქართველ ფეხბურთელებს. მათგან ყველაზე პრესტიჟულად, ცხადია, კახა კალაძის მფლობელი ფირმა FIMO მიიჩნევა, რომლის მეპატრონეებიც მსოფლიოში განთქმული აგენტები ვინიციო ფიორანელი და ვინჩენცო მორაბიტო არიან. სააგენტოს სახელიც მათი გვარების საწყისი ასოებია. FIMO-ს კლიენტები არიან ცნობილი ფეხბურთელები, ინტერელი დეიან სტანკოვიჩი, ბირმინგემელი მიკაელ ფორსელი, ჩელსელები — იესპერ გრონკიაერი და ემანუელ პეტი, ინტერელი ფრანჩესკო კოკო, არსენალელი ნვანკვო კანუ და სხვები.

ამათგან დღევანდელი სატრანსფერო ფასით ყველაზე ძვირი სტანკოვიჩია — 15 მილიონი ევრო. კალაძე მეორეა — 11 მილიონი... FIMO-ს კლიენტთა საერთო ფასი კი 113 მილიონ 125 ათასი ევროა.

ურიგო აგენტი არც შოთა არველაძეს ჰყავს — ივან ბენეშის გვარი ევროპაში კარგადაა ცნობილი, თუმც მისთვის შოთა ყველაზე ძვირფასი ფეხბურთელია. ჩვენებურის შემდეგ ბენეშისთვის სატრანსფეროდ საუკეთესო ფეხბურთელი რეინჯერსელი პიტერ ლოვენკრანდსია, ვისი საბაზრო ფასიც 3 მილიონი ევროა.

კრისტოფ მეცელდერი, არნე ფრიდრიხი, მარკო რემერი, სერგეი ბარბარესი... ამ ფეხბურთელებზე გერმანელი იორგ ნოიბაუერი ზრუნავს. მისი კლიენტია ალექსანდრე იაშვილიც, ვინც ნოიბაუერის სიაში ფასით მეათე ადგილზეა.

ლევან კობიაშვილის სააგენტოს ყველაზე ცნობილი კლიენტები კი ფრანკ როსტი („შალკე“), დიმიტარ ბერბატოვი („ლევერკუზენი“), ივან კლასნიჩი („ვერდერი“) და ტობიას ვილი („ფრაიბურგი“) არიან.

ასიანი ამბავი კამაჩო



ესპანური გაზეთი „ასი“ გვარწმუნებს, რომ მადრიდის „რეალს“ სეზონის ბოლოს მწვრთნელი აუცილებლად შეეცვლება, ახალი თავკაცი იქნება ხოსე ანტონიო კამაჩო და ეს ყველაფერი დასტურ 48 საათშიც კი შეიძლება მოხდეს.

შეგახსენებთ, რომ ხოსე ანტონიო კამაჩო პორტუგალიაში მუშაობს, „ბენფიკას“ წვრთნის და ხსენებული 48 საათიც აქედანაა აღებული: 16 მაისს, ანუ ხვალ, პორტუგალიაში თასის ფინალია, „ბენფიკა“ „პორტუს“ ხვდება და, ცხადია, ასეთი მნიშვნელოვანი მატჩის წინ კამაჩო ვერაფერს იტყოდა.

„ასი“ აღნიშნავს, რომ კამაჩოს გარდა „რეალის“ დირექტორატი სხვა კანდიდატურებსაც განიხილავდა, კერძოდ: ფაბიო კაპელოს, ვიქტორ ფერნანდესს და ხავიერ ირურეტას. ამათგან, ირურეტამ უკვე განაახლა კონტრაქტი „დეპორტივოსთან“, კაპელოს და ფერნანდესს დირექტორატში მხოლოდ ერთი ნაწილი უჭერს მხარს, აი, ესპანეთის ნაკრების ყოფილ თავკაც კამაჩოს კი თვით „სამეფო კლუბის“ პრეზიდენტის, ფლორენტინო პერესის სიმპათია უკვალავს გზას.

პაპუნა კედია

რომიდან მადრიდში გენუის გავლით

სამუელს მეფური დახვედრა ელის

ვთქვათ, რომ არგენტინელი ვალტერ სამუელი „რომას“ უკვე ყოფილი მცველია? ესპანეთში კი ამბობენ, დიახ, სამუელი უკვე ორშაბათს მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი გახდებაო.

ხვალ, „რომა“ იტალიის სერია A-ს ბოლო ტურის მატჩს გენუაში გამართავს „სამპდორიასთან“ და სამუელიც ბარგს ჩაალაგებს, რომში გაფრინდება. იქ, აეროპორტში, „რეალის“ მიერ გაგზავნილი საგანგებო თვითმფრინავი დახვდება, რომელიც არგენტინელს ესპანეთის დედაქალაქში ჩაიყვანს.

ვალტერ სამუელი

15 მილიონი ევრო — სწორედ ამ თანხას გადაუხდის „სამეფო კლუბის“ პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი „რომას“ მფლობელ ფრანკო სენსის.

რამდენწლიან კონტრაქტზეა საუბარი, ოფიციალურად ჯერ არ თქმულა, თუმც ამბობენ, ხელშეკრულება ოთხწლიანი იქნებაო.

მოკლედ, ბევრს არ გავაგრძელებთ და ერთს დავძენთ, „რეალმა“ „ჩელსი“ და მისი მილიარდელი მფლობელი რომან აბრამოვიჩი პირში ჩალაგამოვლებული დატოვა, „არისტოკრატებს“ ხომ ვალტერ სამუელის შეძენა რა ხანია, სურდათ.

გიორგი ვაშაკიძე

ბერლუსკონი მილანს ამღვრევს შავ-წითელი მიდი-მოდი

ვიდრე „მილანი“ მეჩვიდმეტედ გაჩემპიონდებოდა, კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ მედიასთან ინტერვიუებში რამდენჯერმე თქვა, ზაფხულის სატრანსფერო სეზონში ორ დიდ გარიგებას გავჩარხავთ, ანუ „სან სიროზე“ ახალი სეზონიდან ორი ახალი ვარსკვლავი იბურთავებსო.

„როსონერიმ“ უკვე დაიწყო გაძლიერება — ორი ფეხბურთელი დაიბევა სამომავლოდ, მაგრამ მაინც მოგვიტევეთ, 31 წლის ფრანგი ვიკაშ დორასო და მისი ხნის ჰოლანდიელი იაპ სტამი ძალიან კარგი ფეხბურთელები არიან, თუმც ვარსკვლავები ნამდვილად არა.

ხვალინდელი ტურიც ჩაივლის, აპენინებზე სეზონი დამთავრდება და დორასოც და სტამიც სრულფასოვანი მილანელები გახდებიან, მაგრამ ვინაა გალიანის მიერ შეპირებული ის ორი ვარსკვლავი?

„შავ-წითლების“ ხელმძღვანელობა ჯერჯერობით არ ამხელს და საიდუმლოდ ინახავს. სამაგიეროდ, ჟურნალისტებს ვერას გამოაპარებ. ჰოდა, ვისი გვარები არ იწერება, ის გადმოვა, ეს გადმოვა, ძვირია, არარეალურია, მაგრამ როგორც ბერლუსკონი გადაწყვეტს, ისე იქნებაო.

მოკლედ, ფეხბურთელები დავასახელოთ, ჭორ-მართალი ხომ მაინც გაირკვევა: ერნან კრესპო, ფერნანდო ტორესი, ლუის ფაბიანო, ბერნარდო კორადი, ხავიერ ჩევანტონი, ფერნანდო მორიენტესი, ჟერომ როტენი, დიდიე დროგბა და... ფრანჩესკო ტოტი.

რატომ დავწერეთ პირველად არგენტინელი ერნან კრესპოს გვარი? მიზეზი მარტივია, ჩელსელის აგენტი ფერნანდო იდალგო ბოლო დღეების განმავლობაში მილანელოს საწვრთნელ ბაზას სტუმრობს და თუ რატომ ძნელი გამოსაცნობი არაა. ამბობენ, რომ მოლაპარაკებები უკვე დაიწყო და კარლო ანჩელოტიც მონაწილეობს, ვისაც კრესპო ჯერ კიდევ „პარმაში“ მუშაობისას ჰყავდა შეგირდად და ძალიანაც მოსწონდა.

არაა გამორიცხული, ზაფხულში ერნან კრესპო „მილანში“ გადავიდეს

გამოითქვა ვარაუდიც, თუ გარიგება შედგა, რომან აბრამოვიჩი თავის მილანელი კოლეგისგან, რა თქმა უნდა, კომპენსაციას მიიღებს და იტალიის ჩემპიონებმა ერთი ფეხბურთელიც ეგებ ხურდაში გააყოლონო.

ეს ერთი ფეხბურთელი, მედიის აზრით, პორტუგალიელი მანუელ რუი კოშტა გახლავთ, მაგრამ რას იტყვის „ჩელსის“ მომავალი მწვრთნელი, რუი კოშტას თანამემამულე ჟოზე მაურინიუ? ამბობენ, მაურინიუს გუნდში კრესპოს ადგილი აუცილებლად გამოინახება, თუმც თვისტომი პლეიმეიკერიც ძალიან მოსწონსო.

გიორგი ვაშაკიძე

ლიდსიდან განძს ეზიდებიან

სწრაფად და იაფად



პოლ რობინსონი „ტოტენჰემის“ მეკარეა

პირველ დივიზიონში გავარდნილ „ლიდსს“ უკვე ტოვებენ წამყვანი ფეხბურთელები.

ნაკრების 24 წლის მეკარე პოლ რობინსონი იორკშირიდან მალე გაეშურება ლონდონს, სადაც „ტოტენჰემის“ სამოსს მოირგებს. ტრანსფერი არცთუ ძვირია — სულ 1,5 მილიონი გირვანქა.

რობინსონი ინგლისურ ფეხბურთში ყველაზე მაღალხელფასიანი მეკარე იყო და ნაკრებში პირველობისათვის ბრძოლაში სწორედ „ლიდსის“ უხეირო სეზონმა შეუშალა ხელი.

ამბობდნენ, რომ „ტოტენჰემშივე“ გადავა ლიდსელთა ყრმა ვარსკვლავი ჯეიმს მილნერი, თუმცა, ეს მოლაპარაკება ჩაიშალა და მილნერი ალბათ სხვა გუნდის წინადადებას დაელოდება.

ალანს სმიტზე მოხალისეთა სიას კი გუშინ „იუვენტუსიც“ შეუერთდა, რომელმაც „მანჩესტერის“ და „ნიუკასლის“ კვალად გამოაცხადა, ამ ბიჭში 8 მილიონ გირვანქას გამოვდივარო.

„ლიდსს“ დატოვებს 28 წლის მარკ ვიდუკაც, რომელმაც ოთხი სეზონი გაატარა გუნდში და 54 გოლი გაიტანა. ვიდუკა რთული ხასიათის ვინმეა და ლიდსელ გულშემატკივრებს მისგან არა მხოლოდ გოლები ახსოვთ. ამიტომ, მის წასვლას ნაკლებად განიცდიან. თუმცა, ჯერ, ავსტრალიელ-ხორვატის მსურველი არ ჩანს.

ირაკლი გამყრელიძე

ლივერპულმა ინგლისელი დაიწუნა

ტაილანდური შანსი გაიზარდა

ტაქსინ შინავატრამ სტივ მორგანს ამაყად გახედა

„ლივერპულის“ დირექტორთა საბჭომ სტივ მორგანის წინადადება უარყო. შეგახსენებთ, რომ ინგლისელმა მილიონერმა პრემიერლიგის კლუბს 128 მილიონი დოლარი ინვესტიცია შესთავაზა მაშინ, როცა ტაილანდის პრემიერ-მინისტრი ტაქსინ შინავატრა მხოლო 100 მილიონს იხდიდა.

სტივ მორგანის ვარიანტი ლივერპულელებს არ მოეწონათ და ამის შესახებ გუშინ ოფიციალურად განაცხადეს. ინგლისელი ბიზნესმენი კლუბის აქციათა შესყიდვას ლამობდა და შინავატრაზე მეტ ფულსაც აძლევდა მერსისაიდელებს, მაგრამ საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ მორგანი ერთ აქციაში 1,750 ევროს სთავაზობდა კლუბის შეფებს ეცოტავათ.

„ლივერპულის“ ფანები მომხდარმა გააოგნა, რადგან მათ უმრავლესობას არ სურს, რომ გუნდის აქციათა 30 პროცენტი უცხოელის, ამ შემთხვევაში ტაქსინ შინავატრას ხელში გადავიდეს.

ამასობაში, ტაილანდის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, ვიმედოვნებ, რომ დირექტორთა საბჭო გადაწყვეტილებას ჩვენს სასარგებლოდ მიიღებს, რადგან უკეთეს პირობებს ვთავაზობთო.

ვაჟა ხუციშვილი

იტალია

პაპუნა კედია



სერსე კოზმიმ პრეზიდენტ ლუჩანო გაუჩის ხვალ უნდა დაუმტკიცოს, რომ „პერუჯა“ არ გავარდება

დღე უკანასკნელი

ჩახლართული სერია და რობერტო ბაჯოს განტოლება

XXXIV ტური		
ხვალ		
პერუჯა	—	ანკონა
კიევო	—	ბოლონია
მილანი	—	ბრეშა
ემპოლი	—	ინტერი
სიენა	—	იუვენტუსი
ლაციო	—	მოდენა
ლეჩე	—	რეჯინა
სამპდორია	—	რომა
პარმა	—	უდინეზე

საღლეისო ვითარება						
მილანი	33	24	7	2	61:22	79
რომა	33	21	7	5	68:19	70
იუვენტუსი	33	20	6	7	64:41	66
ინტერი	33	16	8	9	56:35	56
პარმა	33	15	10	8	53:43	55
ლაციო	33	15	8	10	50:37	53
უდინეზე	33	13	11	9	41:36	50
სამპდორია	33	11	12	10	40:42	45
კიევო	33	10	11	12	34:36	41
ბრეშა	33	9	13	11	50:53	40
ბოლონია	33	10	9	14	44:51	39
ლეჩე	33	10	8	15	41:55	38
სიენა	33	8	10	15	40:51	34
რეჯინა	33	6	16	11	28:43	34
მოდენა	33	6	12	15	26:44	30
ემპოლი	33	7	9	17	24:51	30
პერუჯა	33	5	14	14	43:56	29
ანკონა	33	2	7	24	21:69	13

„სტადიო კასტელანი“ — აი, იტალიის ჩემპიონატის ბოლო ტურის მთავარი სარბიელი. აქ, „ემპოლი“ „ინტერს“ მასპინძლობს და თუ წააგებს, „ინტერი“ მეოთხე ადგილზე გავა, ხოლო თუ მოიგებს, შესაძლოა, სერია A-დან პირდაპირ გავარდნის მაგივრად პლეი ოფში მოხვდეს, ანუ სერია B-ს მეექვსე გუნდს შეხვდეს და... გადარჩეს.

მეოთხე ადგილისთვის მებრძოლთა შორის უმჯობეს პოზიციაში „ინტერია“. „შავლურჯებმა“ წინა ტურში უშუალო კონკურენტ „პარმას“ მოუგეს (1:0) და ერთი ქულით უსწრებენ კიდეც. „პარმა“ თავის მხრივ, „უდინეზეს“ მასპინძლობს, მაგრამ მარტო თავისი გამარჯვება არ ჰყოფნის და იმედოვნებს, რომ „ემპოლი“ „ინტერთან“ ფრედ მაინც ითამაშებს. ისე, „უდიზენეს“ ამ შეხვედრისგან აშკარად არაფერი სჭირდება. ჩახედეთ ცხრილს, უეფას თასზე გასვლა ამ გუნდს გარანტირებული აქვს, ასე რომ, „პარმა“ იმ თავის სამ ქულას სავარაუდოდ, უპრობლემოდ აიღებს.

კიდევ ერთი გუნდი, რომელსაც მეოთხე ადგილზე გასვლის თეორიული შანსი აქვს, გახლავთ იტალიის თასის ახალგამომცხვარი მფლობელი „ლაციო“. რომაელები „სტადიო ოლიმპიკოზე“ „მოდენას“ მასპინძლობენ.

ბუნებრივია, რომაელებმა ყბადაღებულ მეოთხე ადგილზე გასასვლელად „მოდენა“ უნდა დაამარცხონ, მაგრამ ამასთან ერთად, ერთი თვალით ემპოლისკენ უნდა იყურონ, ხოლო მეორეთი კი პარმასკენ. რობერტო მანჩინის ორივე კონკურენტის დამარცხების ამბავი თუ გაახარებს. ეს კი იოლი როდია... საინტერესოა, რომ ამ შეხვედრაში „ლაციოს“ დისკვალიფიცირებული ჰყავს თვით მწვრთნელი და სიმონე ინძაგიც. ერთი სიტყვით, თავდასხმაში ბერნარდო კორადისა და რობერტო მუცის წყვილი შეუტევს.

უეჭველი გამარჯვება უნდა „მოდენასაც“. მასაც ემუქრება სერია A-დან პირდაპირი გავარდნა, ასე რომ, საკმაოდ რთულად აქვს საქმე. „ლაციოსი“ არ იყოს, ისიც თავისი შედეგის გარდა კიდევ ორ შედეგზეა დამოკიდებული. „მოდენას“ არ ეყოლება დისკვალიფიცირებული ნახევარმცველები მაურო მაიერი და მაურო დომიცი. სამაგიეროდ, ითამაშებენ სიმონე პავანი და ჯონ მენსა.

სამი თამაშის შედეგზეა დამოკიდებული „პერუჯაც“. თავად „ანკონას“ მასპინძლობს და შესაძლოა, დაძაბულია, მაგრამ, ალბათ დარწმუნებული, რომ გაიმარჯვებს — აბა, „ანკონას“ რა სჭირდება?

თუ გახსოვთ, სერსე კოზმის გუნდს, სერია A-ში დარჩენის რეალური შანსი „იუვენტუსისა“ და „რომას“ ზედიზედ ძლევის შემდეგ გაუჩნდა. თან „მოდენას“ და „ემპოლის“ მოწინააღმდეგეები როგორც ზევით ვახსენეთ, „ლაციო“ და „ინტერი“ არიან, ასე რომ, ქვეყნის მეორე და მესამე გუნდების მძლეველს თეორიულად, ყველაზე ნაკლებად უნდა გაუჭირდეს.

„სან სიროზე“ კი ჩემპიონი „მილანი“ „ბრეშას“ მასპინძლობს და ეს იქნება ოდინდელი მილანელის, დიდი რობერტო ბაჯოს ბოლო მატჩი: ბაჯოს 20 წელიწადი უდრის სერია A-ს 451 მატჩსა და 205 გოლს.

ინგლისი

კოტე [illegible]

არსენალის თოფ-სამიზნე

XXXVIII ტური		
დღეს		
არსენალი	—	ლესტერი
ასტონ ვილა	—	მანჩესტერი
ბლექბერნი	—	ბირმინგემი
ბოლტონი	—	ფულემი
ჩარლტონი	—	საუთჰემპტონი
ჩელსი	—	ლიდსი
ლივერპული	—	ნიუკასლი
სიტი	—	ევერტონი
პორტსმუთი	—	მიდლსბრო
ვულვზი	—	ტოტენჰემი

საღლეისო ვითარება						
არსენალი	37	25	12	0	71:25	87
ჩელსი	37	23	7	7	66:29	76
მანჩესტერი	37	22	6	9	62:35	72
ლივერპული	37	16	11	10	54:36	59
ასტონ ვილა	37	15	11	11	48:42	56
ნიუკასლი	37	13	16	8	51:39	55
ბოლტონი	37	14	11	12	48:54	53
ჩარლტონი	37	13	11	13	49:50	50
ფულემი	37	13	10	14	49:46	49
ბირმინგემი	37	12	13	12	42:47	49
მიდლსბრო	37	13	9	15	43:47	48
საუთჰემპტონი	37	12	11	14	43:43	47
ბლექბერნი	37	12	7	18	50:58	43
პორტსმუთი	37	11	9	17	42:53	42
ტოტენჰემი	37	12	6	19	45:57	42
ევერტონი	37	9	12	16	44:52	39
სიტი	37	8	14	15	50:53	38
ლესტერი	37	6	15	16	47:63	33
ვულვზი	37	7	12	18	38:75	33
ლიდსი	37	8	9	20	40:78	33

დევიდ ოლირის ევროპაში დაბრუნება „ასტონ ვილასთან“ ერთად სურს

ერთი ტური და ერთადერთი კითხვა დარჩა: ვინ გავა მეხუთე ადგილზე და შესაბამისად, ვინ ითამაშებს მომდევნო სეზონში უეფას თასზე. „ნიუკასლ იუნაიტედმა“, რომელიც ლამის მთელი სეზონი ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი მეოთხე ადგილის უმთავრეს პრეტენდენტად ითვლებოდა, ბოლო ტურებში ისე ცუდად ითამაშა, რომ ახლა საუეფასთასო ადგილიც სანატრელი გაუხდა. საამისოდ „კაჭკაჭთა“ ერთადერთმა კონკურენტმა „ასტონ ვილამ“ შინ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ უნდა წააგოს და თუ ასე მოხდა, მაშინ „ნიუკასლს“ ლივერპულში ფრეც ჰყოფნის. მაგრამ „ასტონ ვილამ“ ფრე თუ ითამაშა, ნიუკასლელებს მხოლოდ მოგება აძლევთ ხელს. ცხადია, „ვილამ“ თუ მოიგო, „ნიუკასლს“ არაფერი შველის.

ხვალ ჩვენი ყურადღებაც ამ ორ თამაშზე შეჩერდება, მაგრამ იქამდე კიდევ ერთ, სატურნირო თვალსაზრისით არაფრისმომცემ, მაგრამ მაინც პრინციპულ მატჩზე ვთქვათ.

ჩემპიონ „არსენალს“ შანსი აქვს, პრემიერლიგა წაუგებლად ჩაამთავროს, რაც ინგლისის ჩემპიონატის ისტორიაში აქამდე ერთადერთხელ, დედოფალ ვიქტორიას ტახტზე ასვლის წელს, შორეულ 1889-ში მოხდა, როცა „პრესტონ ნორთ ენდმა“ ჩემპიონატი დაუმარცხებლად დაამთავრა. თუმც ისიცაა, რომ მაშინ ლიგაში სულ 22 ტური იყო.

გარდა ამისა, თუ არ დამარცხდა, „არსენალი“ პრემიერლიგაში წაუგებელ თამაშთა რაოდენობას, ორი სეზონის ჯამში 40-მდე გაზრდის. აქ კი რეკორდი „ნოტინგემ ფორესტს“ ეკუთვნის, რომელიც 1977-78 წლებში ზედიზედ 42 მატჩში არ დამარცხდა.

ხვალინდელი მატჩის მერე „არსენალს“ პრემიერლიგის ჩემპიონის თასსაც გადასცემენ და ჩრდილოეთ ლონდონის ქუჩებში საჩემპიონო მსვლელობაც დაგეგმილია. ესეც ერთი მიზეზი იმისა, რომ „მეთოფეებს“ ამ მატჩის უთუოდ მოგება სჭირდებათ.

„არსენალის“ მეტოქე უიღბლო „ლესტერია“, უკვე გავარდნილი გუნდი. ლესტერელებს აღარაფერი უნდათ, მაგრამ ერთი მიზეზის გამო, იოლად არ დანებდებიან. ეს მიზეზი კი 1 მილიონი გირვანქაა — თანხა, რომლისთვისაც კაცმა 90 წუთი თავდაუზოგავად ნაღდად უნდა ირბინოს. საქმე კი ისაა, რომ პრემიერლიგის უფროსობა გავარდნილ გუნდებს, წელში რომ არ გაწყდნენ, ყოველწლიურად უხდის რაღაც თანხას. მე-18 ადგილზე გასულს კი 1 მილიონით მეტი ერგება, ვიდრე მის ქვემოთ აღმოჩენილ ორ სხვა გავარდნილს.

ახლა მთავარ მატჩზე ვთქვათ.

22 მაისს „მანჩესტერს“ ასოციაციის თასის ფინალი აქვს სათამაშო და საფიქრებელია, რომ სერ ალექს ფერგიუსონი ბლომად ფეხბურთელებს დაასვენებს, ანუ ტრავმიანობას მოერიდება. თუმცა, ამავე დროს მანჩესტერელებს ალბათ, ისევ როი კინი უკაპიტნებს, რომელსაც ტრავმის გამო 24 აპრილის მერე არ უთამაშია, ხოლო „ასტონ ვილას“, ყველა ფეხბურთელი მწყობრში ჰყავს.

ალექს ფერგიუსონმა ასოციაციის თასის ფინალის წინ, შესაძლოა, ნახევარი გუნდი დაასვენოს

გერმანია

ვაჟა ხუციშვილი

XXXIII ტური	
დღეს	
პანოვერი	ვოლფსბურგი
შალკე	ლაუტერნი
დორტმუნდი	გლადბახი
მიუნხენი	ჰერტა
კიოლნი	ჰანზა
ვერდერი	ლევერკუზენი
შტუტგარტი	ბაიერნი
ფრაიბურგი	ჰამბურგი
აინტრახტი	ბოხუმი

საბოლოო ვითარება

ვერდერი	32	22	8	2	76:29	74
ბაიერნი	32	19	8	5	67:36	65
შტუტგარტი	32	17	10	5	49:21	61
ლევერკუზენი	32	17	8	7	65:37	59
ბოხუმი	32	14	11	7	52:35	53
დორტმუნდი	32	15	6	11	54:46	51
შალკე	32	12	10	10	44:40	46
ჰამბურგი	32	13	6	13	45:59	45
ჰანზა	32	11	8	13	52:48	41
ვოლფსბურგი	32	13	1	18	55:60	40
ფრაიბურგი	32	10	7	15	42:65	37
გლადბახი	32	9	9	14	36:45	36
პანოვერი	32	9	9	14	48:60	36
ლაუტერნი	32	11	5	16	37:57	35
ჰერტა	32	8	11	13	38:57	35
მიუნხენი	32	8	7	17	30:51	31
აინტრახტი	32	8	5	19	32:49	29
კიოლნი	32	5	5	22	27:54	20

„კაიზერსლაუტერნს" დაკლებული აქვს 3 ქულა

„ვერდერი" ლევერკუზენის „ბაიერს" მასპინძლობს. ბუნდესჩემპიონს სავსე „ვეზერშტადიონი" მიესალმება და „მუსიკოსებისგან" საჩემპიონო თამაშს მოითხოვს. ტომას შააფი იმ შემადგენლობას გაიყვანს, რომელმაც მიუნხენში „ბაიერნი" დააჩოქა. ძირითად თერთმეტეულში იქნებიან ივან კლასნიჩი, იოან მიკუ და აილტონი, დავალა უმითი და კრისტიან ლისტეში კი ტრავმირებულნი არიან.

ლევერკუზენელებს დარჩენილ ორ ტურში შანსი აქვთ, ბრინჯაოს დაეპატრონონ და საამისოდ პირველ რიგში ბრემენში გამარჯვება სჭირდებათ. „ფარმაცევტებს" ილდირაი ბაშთურქი და ზოლტან სებესკენი დააკლდებიან.

მთავარი მატჩი შტუტგარტშია: ფელიქს მაგათის გუნდი მიუნხენის „ბაიერს" მეორე ადგილს ეცილება. ამ შეხვედრას სხვა ინტრიგაც ახლავს — ფრანც ბეკენბაუერს მიაჩნია, რომ ოტმარ ჰიცფელდი მომავალ სეზონში მაგათმა უნდა შეცვალოს.

სამწუხაროდ, პოლიტიკური ვითარება ამ რეგიონში საკმაოდ დაიძაბა. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა და კულტურისა და სპორტის მინისტრმა ოფიციალურად განაცხადეს, რომ შეუძლებელი იყო აჭარაში ჩასულ მოჭადრაკეებისთვის უსაფრთხოების გარანტიის მიცემა. ამიტომაც მე კვლავ მომიხდა საქართველოში ჩასვლა. ახალარჩეულმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ჩემთან შეხვედრისას გამოთქვა სურვილი, რომ ჩემპიონატი კვლავ თბილისში გადმოგვეტანა, როგორც ეს ადრე იყო დაგეგმილი. სააკაშვილი სპონსორის მოძიებასაც შეგვპირდა, თუმცა მე ვუთხარი, რომ ხელშეკრულება უკვე ასლან აბაშიძესთან მქონდა გაფორმებული და მის გარეშე ამ საკითხს ვერ გადავწყვეტდი. თბილისიდან ბათუმში გავემგზავრე აბაშიძესთან, მან სწორად შეაფასა არსებული მდგომარეობა და გადავწყვიტეთ, ჩემპიონატი ბათუმიდან თბილისში კი არა, რუსეთში, ჩემს მშობლიურ ელისტაში გადაგვეტანა. ეს გადაწყვეტილება საქართველოს პრეზიდენტსაც გავაცანი და წინააღმდეგ არ წასულა. მიხეილ სააკაშვილი ელისტაში მოვიწვიე, ჩემპიონატის გახსნის ცერემონიალზე დასასწრებად, პირველობაში ხომ საქართველოდან 8 მანდილოსანი მიიღებს მონაწილეობას.

— ამ ტურნირის გამართვასთან დაკავშირებით საქართველოში საკმაოდ რთული დიპლომატიური მოლაპარაკებები გქონიათ... ახლა ვინ იქნება სპონსორი?

— აჭარელმა პარტნიორებმა საპრიზო და საორგანიზაციო თანხები თავიანთ თავზე აიღეს. 500 ათასი დოლარი უკვე ჩარიცხულია ფიდე-ს ანგარიშზე ქართული ჭადრაკის ენთუზიასტების მიერ.

— ეჭვი არაა, რომ მთელი რუსეთის გულშემატკივრები ამ მსოფლიოს ჩემპიონატზე საკუთარ თანამემამულეებს დაუჭერენ მხარს. მაგრამ საბჭოთა კავშირის დროს მე მქონდა ბედნიერება, მენახა რამდენიმე მსოფლიოს პირველობა ცნობილი ქართველი ქალების მონაწილეობით, და ახლა დიდად გამიხარდება, თუ რომელიმე მათგანი, მაია ჩიბურდანიძე ან ნანა იოსელიანი საკუთარ ოსტატობას და გამოცდილებას აქ, ელისტაში გვაჩვენებდნენ.

— ქალთა შორის მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილს შევთავაზე, რომ ელისტაში ჩემპიონატზე ფიდე-ს საპრეზიდენტო საბჭოს წარმომადგენელი ყოფილიყო, რაზეც სიამოვნებით დათანხმდა. თუმც მას ის უფრო გაუხარდა, რომ ხუთვარსკვლავიან კომფორტულ სასტუმროში იცხოვრებდა, ნომერში კი ბილიარდის მაგიდა ექნებოდა და თამაშით დატკბებოდა. პროფესიონალმა უნდა ითამაშოს და პოლიტიკაში არ უნდა გაერიოს.

— ცნობილია, რომ რუსეთის ჩემპიონი პეტერ სვიდლერი, რომელმაც პირველი ოქრო და საუკეთესო კორეული მანქანა სწორედ ელისტაში მოიგო, ბილიარდის დიდი მოყვარულია. ეს ტურნირი ათი წლის წინ ჩატარდა...

— მივხვდი, რასაც გულისხმობთ... სვიდლერმა და კიდევ რამდენიმე დიდოსტატმა უარი განაცხადეს ლიბიაში, მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობაზე.

— რა იყო ამის მიზეზი?

— ფიდე-ს მთავარი მიზანი ჭადრაკის პოპულარიზაციაა. 1998 წელს ფიდე-ს მსოფლიოს ჩემპიონატი ევროპის ცენტრში, გრონინგენსა და ლოზანაში გაიმართა. 1999 წელს პირველობას ამერიკამ ლას ვეგასში უმასპინძლა, 2000-ში აზიამ — დელისა და თეირანში, ხოლო 2001 წელს ევროპას დავუბრუნდით და ჩემპიონატი რუსეთის გულში, კრემლში ჩატარდა. ახლა ფიდე-ს .სურს, პირველობა აფრიკაში, არაბთა რომელიმე ქვეყანაში გამართოს და ლიბიის ფედერაციას დიდ მხარდაჭერასაც ჰპირდება. ლიბია მალე გაეროს წევრი გახდება და მთელ რიგ ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობას დაამყარებს. ამ ქვეყანას პოლიტიკური და ეკონომიკური სანქციები მოუხსნეს. ჩემპიონატის 128 მონაწილიდან 114-მა უკვე თანხმობა განაცხადა. ზოგმა ეს არ გააკეთა, რაც საწყენია, თუმც მათი ნებაა.

— პროფესიული ჭადრაკის ასოციაციის პრეზიდენტმა ჟოელ ლოტიემ თანხმობა განაცხადა, რომ ფიდე-ს ჩემპიონატის წლევანდელი გამარჯვებული რეიტინგსიაში პირველ ადგილზე მყოფ გარი კასპაროვს შეხვდეს, ორ წელიწადში ერთხელ.

— ასეთი სქემა დიდ გაუგებრობას გამოიწვევდა და ეს საკითხი უკვე მოგვარებულია. კასპაროვი და ფიდე-ს ჩემპიონი უძლიერესის გამოსავლენად მომავალი წლის იანვარში შეერკინებიან ერთმანეთს.

— მაგრამ სად? როგორც ვიცი, ვიეტნამმა ამ მატჩის მასპინძლობაზე უარი განაცხადა.

— ასეა. თუმც ვიეტნამმა გამოთქვა სურვილი, რომ ქალთა და ვაჟთა მომავალ ჩემპიონატებს უმასპინძლოს. მათ სურთ, რაც შეიძლება, მეტი ადგილობრივი მოჭადრაკე ჩართონ ამ გათამაშებაში. ჩვენ კი მოლაპარაკებებს ვაგრძელებთ და უკვე სერიოზული შემოთავაზებები გვაქვს დუბაიდან და კაიროდან.

— საპრიზო ფონდი იგივე იქნება?

— დიახ, 1 მილიონი დოლარი.

— ლოტიემ ასევე გამოთქვა ეჭვი, რომ 2002 წელს გაფორმებული პრაღის ხელშეკრულება, ანუ ლეკო-კრამნიკისა და კასპაროვ-ფიდე-ს საჩემპიონო მატჩები შესაძლოა, ჩაიშალოს.

— ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ ეს არ მოხდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში მსოფლიო და ჭადრაკის სამყარო ველარ გაგვიგებს და სერიოზულად აღარ შემოგვხედავს. თამაშები ალბათ მომავალი წლის ზაფხულამდე აღარ გაიმართება და საპრიზო თანხა სავარაუდოდ ორი მილიონი დოლარი იქნება.

— ათი წლის წინ განაცხადეთ თქვენი სიზმრის შესახებ, რომელშიც ელისტას საჭადრაკო ციებ-ცხელება შეჰყარეთ. მას შემდეგ კი ამ ქალაქმა თქვენი თაოსნობით მრავალ დიდ საჭადრაკო შეჯიბრს უმასპინძლა. როგორ ფიქრობთ, აგიხდათ სიზმარი?

— ათი წლის წინ ვერც ვიფიქრებდი, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ჭადრაკი ასე განვითარდებოდა. ფაქტობრივად ბუნებრივი ციებ-ცხელება მალე იკურნება, თუმც ჩვენი სენი საკმაოდ სერიოზულია და სასიამოვნოც. ამაში დარწმუნებული ვარ. ეს ნამდვილი საჭადრაკო ქალაქია და სტუმრები მოწყენილობას ვერ იგრძნობენ. ასე რომ, მთელი ყალმუხეთის სახელით გეუბნებით — „WELCOME TO ELISTA“.

პროტესტი ელისტიდან

აზმაიფარაშვილი ტიტულის დაცვაზე უარს აცხადებს



დღეს თურქეთის საკურორტო ქალაქ ანთალიაში ევროპის მეხუთე ჩემპიონატი იწყება ვაჟთა შორის, რომელიც მოქმედი ჩემპიონის ზურაბ აზმაიფარაშვილის გარეშე ჩაივლის.

თავიდან ცნობილი იყო, რომ აზმაიფარაშვილი, რომელიც ამავდროულად ფიდე-ს ვიცე-პრეზიდენტია, ყალმუხეთის დედაქალაქ ელისტაში ბათუმიდან გადატანილ ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატის საორგანიზაციო საკითხებს აგვარებდა და ამიტომ ვერ ჩავიდოდა ანთალიაში, თუმც საქმე მთლად ასე არ ყოფილა. აზმაიფარაშვილი თავისი ტიტულის არდაცვით თურმე პროტესტს გამოთქვამს საქართველოში ჭადრაკის მიმართ უყურადღებობის გამო.

„შემეძლო ანთალიაში თამაში, მაგრამ უარი განვაცხადე. ჩვენმა სპორტის დეპარტამენტმა საერთოდ დაივიწყა, რომ საქართველოში ჭადრაკი არსებობს“ — ამბობს აზმაიფარაშვილი ელისტიდან.

თურქეთში არწასვლით აზმაიფარაშვილი ავტომატურად შეელევა ევროპის ჩემპიონის ტიტულს. სამაგიეროდ ის აპირებს, მონაწილეობა მიიღოს მსოფლიოს პირველობაზე, რომელიც მსოფლიოს შემორჩენილ ერთ-ერთ ბოლო დიქტატორ მუამარ კადაფის საკუთარ ლიბიაში გაიმართება — „მსოფლიოს ჩემპიონატზე ვითამაშებ. მის ორგანიზატორებთან დიდი მეგობრობა მაკავშირებს. ლიბიის თავკაცი მუამარ კადაფი ჭადრაკის დიდი ქომაგია. მათ დაფინანსებულ ტურნირში მივიღებ მონაწილეობას. ბოლოს და ბოლოს ეს კომერციული მომენტია.“

მუამარ კადაფს ბევრი რამ უყვარს. ჭადრაკიც

აღსანიშნავია, რომ წლევანდელ ევროპის პირველობაზე (რომელზეც აზმაიფარაშვილი არ მიდის) საპრიზო ფონდი საკმაოდ მწირი, 44 ათასი დოლარია და ტურნირს მოთამაშეთა შესუსტებული შემადგენლობა ეყოლება. სულ ჩემპიონატში 26 ქვეყნის 89 სპორტსმენი მიიღებს მონაწილეობას, თუმც გუშინდლამდე რეგისტრაცია მხოლოდ 47-ს ჰქონდა გავლილი. მათ შორის ორი ჩვენებურია — ბაადურ ჯობავა და ზვიად იზორია.

ლაშა გეგეჭკორი

ვახტანგ ნაცვლიშვილისა და ვიქტორ სანიკიძის „დიჟონს“ საფრანგეთის ჩემპიონატის პლეი ოფში კარგა ხნის წინ დაეგებებინა ადგილი. საკმარისი იყო ბოლო ექვსი თამაშიდან ერთის მოგება და „დიჟონი“ ულაპარაკოდ მოხვდებოდა საფრანგეთის რვა რჩეულს შორის. ოთხეულში მოხვედრის კარგი შანსიც არსებობდა, მაგრამ ისე გამოვიდა, ვატოს და ვიქტორის გუნდს რვაში გაძრომის შანსიც ხელიდან ეცლება და ამის მიზეზი თავად ნაცვლიშვილია, ოღონდ თავისდა უნებურად. მას შემდეგ რაც ვატომ ფილტვი გაიხეთქა, „დიჟონმა“ ექვსი თამაშიდან ზედიზედ მეოთხე წააგო. კონკურენტებიც იგებენ და იგებენ

დიჟონს ჭინი მოაკლდა

უნაცვლიშვილოდ პლეი ოფი გაძვირდა

— რომ გვეგონა, პლეი ოფში გასულები ვართო, არც მთლად ასე ყოფილა საქმე. — გვითხრა გუშინ ნაცვლიშვილმა, დიჟონში რომ შევეხმიანეთ. — 14 აპრილს მივიღე მე ტრავმა, ფილტვი გამისკდა და 15 დღე საავადმყოფოში ვიწექი. მას შემდეგ 6 ტური იყო დარჩენილი და „დიჟონს“ ერთი გამარჯვება უნაღდებდა პლეი ოფის საგზურს, მაგრამ აქედან 4 თამაში უკვე წააგო.

— თვლი, რომ „დიჟონი“ შენი არყოფნის გამო აგებს?

— ამ შემთხვევაში, ჩემი აზრი ნაკლებმნიშვნელოვანია... დანარჩენები კი სულ იმას გაიძახიან, ვატოს ტრავმამ დაგვღუპაო. მოკლედ, დიდი საფრთხის წინაშე ვდგავართ, დარჩენილი 2 მატჩიდან ერთიც რომ მოვიგოთ, პლეი ოფში ვართ, ანდა კონკურენტმა „რასინგმა“ უნდა წააგოს ორიდან ერთი.

— არადა, „დიჟონი“ თითქმის მთელი სეზონი ოთხეულში ტრიალებდა, ახლა კი რვეულში მოხვედრა გიჭირთ...

— სანამ ჯანზე ვიყავი, ოთხეულში მოხვედრას გეგმავდა ხელმძღვანელობა, ბოლო 6-დან 3 თამაშის მოგებაც გვყოფნიდა, მაგრამ ახლა პლეი ოფში გასვლაც საეჭვოა.

— შენი მდგომარეობა როგორია, მოიშუშე ფილტვი?

— ახლა ყველაფერი ნორმალურადაა, სულ ოდნავი ტკივილებიღა მაქვს. არადა, თავიდან მართლაც სერიოზულად იყო საქმე, გახეთქვის შემდეგ ფილტვი ჩამეფუშა და ბედად მისი დატუმბვა ქირურგიული ჩარევის გარეშე მოხერხდა.

— პლეი ოფში რომც გახვიდეთ, ალბათ მაინც ვერ ითამაშებ...

— არა, რა თამაში, ჩემთვის სეზონი 14 აპრილს დასრულდა, როცა ტრავმა მივიღე. ალბათ 4-5 კვირაში დავიწყებ ვარჯიშს, მერე კი ფორმის აღდგენაზე უნდა ვიზრუნო.

— ნაკრების იტალიური შეკრებისთვის მწყობრში იქნები?

— იმედი მაქვს, ივლისის შუა რიცხვებისთვის თამაშის თავი მექნება... იქნებ ფორმაში არც ვიყო იმ დროისთვის, საკმაოდ დიდი ხნის უვარჯიშებელი ვიქნები.

— ახლა რას აპირებ, სეზონის ბოლომდე დიჟონში დარჩები?

— ალბათ მალე ჩამოვალ, ჩემი ძმა გიგია აქ და ყველანი ერთად წამოვალთ. კლუბის ხელმძღვანელობა მთხოვს, დარჩიო, მაგრამ რა ვქნა, აქ ბურთს ვერ ვეკარები და მხოლოდ „დიჟონის“ საქომაგოდ დავრჩე? ვნახოთ, თუ პლეი ოფში ვერ გავედით, 21-ში წამოვალ, არადა 28 მაისს, ქართულ „ოლ სტარს“ მინდა ჩამოვუსწრო.

— საქართველოში ჩატენვების ტურნირი მოგებული გაქვს, ალბათ ეს კონკურსი უფრო დაგაინტერესებს...

— ჰო, გავიგე, ჩემს ცოლის ძმას, ნიკა ცქიტიშვილს სდომებია მაგ კონკურსში მონაწილეობა, რაც ჭორია ალბათ. „ცქიტოს“ უყვარს ხუმრობა. ისე კი, მართლაც მაინტერესებს და 29 მაისს ვერის ბაღში ვიქნები.

ირაკლი პერტაია

საქართველოს ჩემპიონატი

პლეი ოფი

მე-5 ადგილისთვის

რუსთავი 2:1 მაკაბი

14 მაისი. რუსთავი

რუსთავი 102:96 მაკაბი

31:25 18:23 22:20 31:28

რუსთავი: არწივიძე (20), ტყეშელაშვილი (27), დანელიანი (17), ჩაჩუა (15), ჭოჭუა (17), ტაბატაძე (6), აბელიშვილი, ფეიქრიძე

მაკაბი: ბადრიძე (20), ნინოშვილი (17), წოწელია (21), ვაშაკიძე (16), სუხიშვილი (17), კონჯარია (5)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე

კომისარი: როლანდ გელოვანი

ვარსკვლავების ვერის ბაღში

29 მაისს ვერის ბაღში მდებარე მიხეილ კეკელიძის სახელობის საკალათბურთო დარბაზში გაიმართება „საქართველოს ვარსკვლავთა მატჩი“, რომელიც შედგება შემდეგი შეჯიბრებებისგან:

— კონკურსი სამძულიანების სროლაში
— კონკურსი ჩატენვებში
— მინი-ტურნირი „ძალი, ვაჟი, ვეტერანი“
— „ვარსკვლავთა მატჩი“

მოთამაშეები და მწვრთნელები შეირჩევიან გულშემატკივართა გამოკითხვით, რომელსაც ჩაატარებენ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პარტნიორი გამოცემები — „სარბიელი“, „ოლიმპი“ და „მთავარი გაზეთი სპორტი“.

პრეტენდენტი მოთამაშეები დასახელებულია სამ ამპლუაში

უკანა ხაზი

ირაკლი ხოშტარია (დინამო)
კოტე ტუღუში (დინამო)
არჩილ ჟღენტი (დინამო)
რამაზ გოგობერიშვილი (დინამო)
გიორგი გამყრელიძე (დინამო)
ირაკლი ბერიშვილი (ბასკო)
დავით ბერიშვილი (ბასკო)
ბუბა ბერიშვილი (ბასკო)
გიორგი ნიკოლაძე (სტუ-ჯეოსელი)
შიო ხეცურიანი (სტუ-ჯეოსელი)
დავით თორთლაძე (თსუ)
ირაკლი საყვარელიძე (თსუ)
ირაკლი მაისურაძე (თსუ)
მამუკა აბრამიძე (თსუ)
ზაზა გაბისონია (რუსთავი)
დავით არწივიძე (რუსთავი)
გოჩა წოწელია (მაკაბი)
ირაკლი სორდია (სსუ)

ფორვარდები

ვლადიმერ ბეჟანიშვილი (დინამო)
ვახტანგ მინაშვილი (დინამო)
ლაშა ლოსაბერიძე (დინამო)
ირაკლი კეიდია (დინამო)
ლაშა კეშელავა (ბასკო)
ნიკა ჩხატარაშვილი (ბასკო)
ჟოლივეტ ტუჯანი (ბასკო)
გიორგი მარკოიშვილი (სტუ-ჯეოსელი)
ზვიად ბაბიაშვილი (სტუ-ჯეოსელი)
ლუკა შანიძე (სტუ-ჯეოსელი)
ამროსი ორმოცაძე (თსუ)
გიგი ნაცვლიშვილი (თსუ)
ლევან ტყეშელაშვილი (რუსთავი)
მიხეილ ბერუაშვილი (რუსთავი)
ვასილ ოთიურიძე (მაკაბი)
ვლადიმერ სუხიშვილი (მაკაბი)

ცენტრები

დავით მუშკუდიანი (დინამო)
ივანე აბულაძე (დინამო)
ვალერი კილაძე (დინამო)
დავით ბერძენიშვილი (ბასკო)
დავით იმნაძე (ბასკო)
პლასიდე როდუმტა (ბასკო)
ირაკლი ჯაფარიძე (სტუ-ჯეოსელი)
არმენ ოგასენიანი (სტუ-ჯეოსელი)
გულივერ ახალკაცი (სტუ-ჯეოსელი)
კახა შენგელია (თსუ)
დავით ერქვანია (სსუ)
ვიქტორ კოღუაშვილი (ქუთაისი)

მწვრთნელები

ნუგზარ კანდელაკი (ბასკო)
დრაჟენ ბრაიკოვიჩი (დინამო)
ნუგზარ ჭეიშვილი (სტუ-ჯეოსელი)
ოთარ ხმელიძე (რუსთავი)
ზაურ დოლაბერიძე (ქუთაისი)
მამუკა ტურაშვილი (თსუ)
ჯამლეტ ხუხაშვილი (მაკაბი)
ვაჟა კვარაცხელია (სსუ)
ვაჟა მხეიძე (მაკაბი)
ზურაბ ტომარაძე (დინამო)
დავით უსტიაშვილი (დინამო)
გია ჯავახიშვილი (თსუ)
ვალერი ალთაბაევი (სსუ)
დავით რიბაშვილი (ბასკო)
ნიკო ჩერქეზიშვილი (სტუ-ჯეოსელი)
ბადრი კიკვიძე (რუსთავი)
შოთა ჯავახიშვილი (ქუთაისი)

ანკეტა

უკანახაზელი _____
ფორვარდი _____
ცენტრი _____
მწვრთნელი _____

შეავსეთ ანკეტა თქვენს მიერ არჩეული კალათბურთელებით (თითო ამპლუაში თითო მოთამაშე) და მწვრთნელით და მიიტანეთ ან ფოსტით გააგზავნეთ შემდეგ მისამართზე: ალ. ყაზბეგის 42, II ჯორჯუსი, IV სართული, „სარბიელი“

ყველაზე მეტი ხმის მიმღები 12-12 კალათბურთელი ორ გუნდში შემდეგი პრინციპით გადანაწილდება: პირველ გუნდში ითამაშებენ ჩემპიონატში I, IV, V, VIII ადგილებზე გასული კლუბების კალათბურთელები, მეორეში II, III, VI, VII ადგილზე გასულთა მოთამაშეები.

გუნდებს უხელმძღვანელებს ყველაზე მეტი ხმის მიმღები ოთხი მწვრთნელი.

გამოკითხვა შეწყდება 20 მაისს

2004 NBA Playoffs

ჰოპ! ლეიკერსი გადახტა

13 მაისი

დასავლეთი

სან ანტონიო 2:3 ლეიკერსი

სან ანტონიო 73:74 ლეიკერსი

სან ანტონიო: პარკერი (15), თურქოღლუ (8), დენარი (21 ქულა, 21 მოხსნა), ნესტეროვიჩი (2); ბრაუნი (11), ჯინობილი (8), ჰორი

ლეიკერსი: პეიტონი (5), ბრაიანტი (22), ჯორჯი (16), მელოუნი (7 ქულა, 11 მოხსნა), ონილი (11 ქულა, 11 მოხსნა); ფიშერი (8), უოლტონი (3), მედვედენკო (2), რაში

ნაადრევად ჩამოგვწერეთო — ამბობდა ნამატჩევს „ლეიკერსის“ მწვრთნელი ფელ ჯეკსონი. ძენ-ბუდიზმის მიმდევარი „მეკობრე“ ფილ ყოველწლიურად უცვლის თავის წვერს ფორმას და მიმართულებას, მაგრამ მის გუნდებს მუდამ ერთი ამოცანა აქვთ — ჩემპიონობა. შარშან „სან ანტონიომ“ რომ გამოაგდო ამავე რაუნდიდან, ეს ჯეკსონისთვის ბოლო შვიდ სეზონში პირველი ხელმოცარვა იყო და ახლაც ჩემპიონ „სფურზთან“ 0:2 ჩამორჩენის შემდეგ ყველა „ლეიკერსის“ დაცემაზე ალაპარაკდა, რა გასაკვირვია, მათ შორის ჩვენც.

მაგრამ მას შემდეგ „ლეიკერსი“ წაგებას გადაეჩვია, ზედიზედ სამი თამაშია, შინ და გარეთ იგებს და ერთ გამარჯვებადმე მიუახლოვდა დასავლეთის ფინალს.

არადა, დიდი შანსი იყო, ყველაფერი პირიქით მომხდარიყო. პირველი სამი მეოთხედის 9 ქულით წაგების შემდეგ მასპინძლებმა შტურმით აიღეს მომხდურთა დაცვითი ნაგებობა და ბოლო წამებზე ტიმ დანკანმა 73:72 დააწინაურა თავისიანები. რაიმეს შესაცვლელად ძალზე მცირე დრო რჩებოდა და სანანტონიოელებმა ერთმანეთისთვის გამარჯვების მილოცვაც დაიწყეს, მაგრამ დარჩენილ ორიოდ წამში „ლეიკერსის“ სათადარიგო გამთამაშებელმა დერიკ ფიშერმა ბურთის მიღებაც მოასწრო, მოტრიალებაც და სროლაც. ბურთი ჩავარდა და ჩაითვალა. როგორც შემდეგ გაირკვა, ფიშერმა სირენამდე 0.4 წამით ადრე გაუშვა ბურთი ხელიდან, მაგრამ სანანტონიოელებმა მაინც გაასაჩივრეს. „სფურზის“ მწვრთნელი გრეგ პოპოვიჩი მსაჯებს იმას უმტკიცებდა, დროის ამოწურვისას კი არა, დაწყებისას დაუშვით შეცდომა, წამზომი გვიან ჩართეთ და პრაქტიკულად დროამოწურულ მეტოქეს ძვირფასი წამები აჩუქეთო. პოპოვიჩმა თავისი სიმართლე ვერ გაიტანა და მე-6 მატჩისთვის მთელი გამოცდილების მოხმობა მოუწევს, მისი გუნდი პლეი ოფიდან რომ არ გავარდეს.

კოტე ყორშია



ჩემპიონ „სან ანტონიოს“ „ლეიკერსის“ სათადარიგომ დერიკ ფიშერმა ჩასცა ლახვარი

ბადრი კეთილაძის ფოტო

16 წლის ასაკიდან საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი მახო ურჯუკაშვილი რამდენიმე თვეა, თბილისშია. მახო საფრანგეთში ელიტა 2-ის „მაზამეში" თამაშობდა და მისი დამსახურებაც იყო, რომ ეს კლუბი თავის დივიზიონში პირველ ადგილზე გავიდა, მაგრამ რატომღაც ურჯუკაშვილი თბილისში ჩამოვიდა და აკადემიაში დაიწყო თამაში

მალხაზ ურჯუკაშვილი: ნაკრებში თამაშს ფრანგი ვერ ამიკრძალავს

— რატომ აღარ თამაშობ საფრანგეთში?

— თბილისში რუსეთთან ტრავმა მივიღე. როცა კლუბში ჩავედი, მითხრეს, საქართველოში აგინაღზაურონ ყველაფერი და რომ გიმკურნალებენ და გამოჯანმრთელდები, მერე ჩამოდიო. ორი დღის წინ დავურეკე და ვუთხარი, კარგად იყავით, აღარ ჩამოვალ-მეთქი. წარმოიდგინეთ, აქეთ დარჩნენ ნაწყენები.

— რაგბის კავშირმა აგინაზღაურა დანაკარგი?

— კი და დიდი მადლობელიც ვარ.

— ძველმა კავშირმა თუ ახალმა?

— ახალმა, კერძოდ, ბატონმა მერაბ ანთაძემ.

— გიმკურნალა თუ თანხა მოგცა?

— ორივე.

— საფრანგეთში რატომ აღარ გსურს წასვლა?

— სადაც ვიყავი, ყველგან ერთი და იგივე ულტიმატუმი წამომიყენეს. მათ არ უნდათ, რომ ეროვნულ ნაკრებში ვითამაშო.

— ესე იგი საფრანგეთს საქართველო ამჯობინე?

— რა თქმა უნდა, იქ სპორტული თვალსაზრისით კარგ პირობებს მიქმნიან, მაგრამ მათ არა აქვთ იმის უფლება, რომ ნაკრებში ამიკრძალონ თამაში. ამბობენ, ფულს გიხდით და ამიტომ ჩვენი ულტიმატუმები უნდა შეასრულოო.

— კი მაგრამ, სხვა ლეგიონერები როგორ ახერხებენ ეროვნულ გუნდში თამაშს?

— ზოგი ახერხებს, ზოგმაც ნაკრებზე უარი თქვა, რადგან დიდ შემოსავალს ჰკარგავდა. მე მიმაჩნია, რომ ყველა მორაგბისთვის უდიდესი პატივია საკუთარი ქვეყნის ნაკრებში თამაში. მეტიც, ოცნებაა. ამიტომაც მე არ შემიძლია, ნაკრებზე უარი ვთქვა.

— აქ რითი არსებობ? სხვა თუ არაფერი, ვარჯიშზე სასიარულო თანხა ხომ გჭირდება?

— აქ „აკადემიაში" ვარ და ხელფასიც დამინიშნეს, რომელიც, ასე თუ ისე, საკმარისია საქართველოში.

— ეს ხელფასი ალბათ ვერ შეედრება ფრანგულს...

— საფრანგეთის ფასებს თუ გავითვალისწინებთ, იქაურ 1 000 ევროს აქაური 400 დოლარი მირჩევნია.

— ქართველი ლეგიონერებიდან იქ ვისთან გქონდა ურთიერთობა?

— ბევრთან. ვურეკავდით ერთმანეთს, მოვიკითხავდით, დღესასწაულებს ვულოცავდით. მართალია, ხშირად ვერ ვხვდებოდით, მაგრამ... ტელეფონით დღესაც ვესაუბრებით ერთმანეთს.

— რატომღაც ამბობენ, რომ საფრანგეთში წასული მორაგბეები დიდად არ ეკონტაქტებიან ერთმანეთსო, რატომ?

— ტყუილია. შეძლებისდაგვარად ყველა ცდილობს, თავისიანთან ახლოს იყოს.

— როგორც ცნობილია, ბევრი ჩვენი ლეგიონერი ცუდ პირობებშია...

— კი, ძალიან ცუდ პირობებში. იქ იმის იმედით არიან, რომ მომავალ წელს უკეთეს გუნდში გადავლენ. აქაურ პირობებს იქ ერთი-ორი კაპიკის შოვნა ურჩევნიათ.

— როგორ ფიქრობ, ჩვენს შინაურ რაგბის რაიმე ეშველება?

— რაგბის რომ ეშველოს, პირველ რიგში ჩემპიონატი უნდა გაძლიერდეს. მოთამაშეებს სათანადო პირობები და გარემო უნდა შეუქმნან, რათა ისინი სხვაგან არ გაიქცნენ.

— გჯერათ ახალი ხელმძღვანელობის?

— ყოველ შემთხვევაში, იმედი მაქვს, რომ ყველაფერი დალაგდება. ამაზე მეტად როგორ უნდა დავეცეთ?

— რატომ? გარკვეული მიღწევები უდაოდ გვაქვს...

— რა თქმა უნდა, თუმცა ამ ბოლო დროს რეგრესს უფრო განვიცდით, ვიდრე პროგრესს.

— როგორ ფიქრობ, მაინც რატომ დაკნინდა ქართული რაგბი?

— ამ ბოლო თამაშებზე ნაკრებში ბევრი არ ჩამოდიოდა. ზოგი ფიქრობს, ამის მიზეზი კლოდ სორელის წასვლაა, რაც არ მგონია, მართალი იყოს.

— ახლო მომავალში თბილისის შვიდკაცას ტურნირზე თუ ითამაშებ? ახლა რა ფორმაში ხარ?

— დიდი ხანია, არ მივარჯიშია. არ ვიცი, ბიჭები როგორ ემზადებოდნენ, თუმცა დიდი იმედი მაქვს, რომ ყველაფერი კარგად იქნება. ვფიქრობ, შვიდკაცა რაგბიში მეტის გაკეთება შეგვიძლია, ვიდრე თხუთმეტკაცაში. რაც შეეხება ჩემს გეგმებს, მსურს მალე ჩავდგე ფორმაში და საქართველოს ჩემპიონატში ჩავერთო. შემდეგ თბილისის შვიდკაცას ტურნირია და მერე ტესტ-მატჩი აფრიკულ ზე-12-ის გუნდთან.

ნინო ლეჟავა

ბადრი კეთილაძის ფოტო

პლეი ოფი. კონფერენციის ფინალი

მეკარემ იწვალა ქვევით გოლები გავიდა

— 13 მაისი —

აღმოსავლეთი

ფილადელფია 1:2 ტამპა

ფილადელფია 1:4 ტამპა

0:2 0:0 1:4

0:1 სტილმანი (13), 0:2 ფედოტენკო (16), 1:2 პრიმო (41), 1:3 ლეკავალიე (42), 1:4 რიჩარდსი (49)

„ფილადელფიამ" და „ტამპამ" ერთმანეთიც დააბნიეს და ჩვენც თავგზა აგვიბნიეს. სერიის ყოველ მომდევნო მატჩში სიტუაცია ისე რადიკალურად იცვლება, გეგონებათ, გუნდები მაისურებს იცვლიან ან სულ სხვა შემადგენლობით გამოდიან ყინულზე. პირველი თამაშის მერე ყველა „ტამპას" აქებდა, მაგრამ მეორე მატჩში უკვე „ფილადელფიამ" გაანადგურა მეტოქე და სპეციალისტები სერიაში გარდატეხაზე ალაპარაკდნენ. თან მომდევნო ორი მატჩი ფილადელფიაში უნდა გამართულიყო, მანამდე ხომ „მფრინავებს" შინ არ წაეგოთ. და აი, ხუთშაბათის მატჩმა, „ფილადელფიას" სავსებით გაუცრუა იმედი. თვით მეკარე რობერტ ეშიც კი არ იყო მოწოდების სიმაღლეზე — ის სადღაც დაფრინავდა, მის ქვემოთ კი გოლები გადიოდა. პირველი ორი გოლი სწორედ მის სინდისზეა. განსაკუთრებით პირველი, როდესაც კორი სტილმანმა საკმაოდ შორი მანძილიდან დაარტყა და ეშს უსიტყვოდ უნდა გამოეცნო შაიბის მიმართულება.

მეორე მესამედში მასპინძლებმა ძალიან მოიწადინეს, მაგრამ ეშისგან განსხვავებით მისი ტამპელი კოლეგა ნიკოლაი ხაბიბულინი საბრძოლო განწყობაზე იყო. რამდენიმე დარტყმა საუცხოოდ მოიგერია და „ტამპამ" ანგარიში ბოლო მესამედამდე შეინარჩუნა, ხოლო როცა მესამე პერიოდის დასაწყისში კეიტ პრიმომ ერთი გოლი გაქვითა, „ელვებმა" უმალ ელვისებური კონტრშეტევით უპასუხეს. მარტინ სენ ლუის გამოზომილი პასის შემდეგ ვენსან ლეკავალიე მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა და შანსი ყვანჯიდან არ გაუშვა. 49-ე წუთზე კი ბრედ რიჩარდსმა ანგარიში გამანადგურებელი გახადა.

ნიშნავს ეს იმას, რომ მომდევნო შეხვედრაში „ფილადელფია" გაიბრწყინებს?

„ბევრად უკეთ უნდა გვეთამაშა და ეს განსაკუთრებით მე მეხება. თუმც ამაზე მოთქმა-ტირილს არ ვაპირებთ და არც გუნების გაფუჭებას. ეს მხოლოდ ერთი მატჩი იყო" — თქვა ფილადელფიელმა ჯერემი რენიკმა.

დასავლეთი

კალგარი 2:1 სან ხოსე

კალგარი 0:3 სან ხოსე

0:0 0:1 0:2

0:1 დამფუსი (28), 0:2 კოროლიუკი (59), 0:3 კოროლიუკი (60)

ეტყობა, კალგარელ ვილე ნიემინენს გული უგრძნობდა, რომ სერიის „კალგარში" გაგრძელება მის გუნდს კარგს არაფერს მოუტანდა. აკი თქვა, სტუმრად გაცილებით მშვიდად და აუღელვებლად ვთამაშობთო. ფინელს წინათგრძნობამ არ უღალატა, ამ წყვილში ინტრიგა პირველივე კალგარული მატჩის შემდეგ აღდგა. აქვე უნდა ითქვას, რომ „სან ხოსეს" თავკაცრონ უილსონის თითქოსდა საეჭვო გადაწყვეტილებამ მთავარი როლი ითამაშა მოგებაში. მან კაპიტან პატრიკ მარლოს ნაცვლად ალექსანდრ კოროლიუკი გაამწესა პირველ სამეულში. წამყვანი ტრიოს დასუსტება თითქოს მეტოქის წისქვილზე ასხამდა წყალს. თუმც სწორედ რეაქტიული კოროლიუკის გარღვევისა და ზუსტი პასის შემდეგ გახსნა ვენსან დამფუსმა ანგარიში. საბოლოოდ ეს გოლი გადამწყვეტი გამოდგა, ვინაიდან, მიუხედავად დიდი მცდელობისა, „კალგარის" ფორვარდებმა ერთხელაც ვერ შეძლეს „სან ხოსეს" მეკარის ევგენი ნაბოკოვის მოტყუება, ხოლო მატჩის მიწურულს უკვე თავად კოროლიუკმა ორი გოლით ეფექტურად დაუსვა მატჩს წერტილი.

წაგებამ ყველაზე მეტად კალგარის ფორვარდი კრეიგ კონროი დაამწუხრა — „მესამე პერიოდში ბრწყინვალე შანსი მქონდა და ასე დავალალატე გუნდი. ძალიან დარდიანი და იმედგაცრუებული ვარ. ანგარიში 1:1 რომ გამხდარიყო, მერე ვინ იცის, როგორ განვითარდებოდა მოვლენები."

სამველ ლარიბიანი

REUTERS

„სან ხოსეს" მეკარე ევგენი ნაბოკოვის და კალგარელი ვილე ნიემინენის ოთრაბრძოლა

ვისი ფორმა აჯობებს?

სერენამ სუფთას შეურია

მასტერსის სერია

ჰამბურგი. თიხნარი

საპრიზო 2,425 მილიონი ევრო

მესამე წრე

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — ფერნანდო გონსალესი (13, ჩილე) 7:5, 6:1; **გილერმო კორია** (2, არგენტინა) — ტომი რობრედო (16, ესპანეთი) 7:6 (7:2), 6:4; **კარლოს მოია** (7, ესპანეთი) — ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) 6:4, 3:6, 6:4; **ლეიტონ ჰიუიტი** (17, ავსტრალია) — ფლავიუ სარეტა (ბრაზილია) 6:4, 2:6, 6:4; **იურგენ მელცერი** (ავსტრია) — მარატ საფინი (რუსეთი) 6:4, 6:4; **დავიდ ფერერი** (ესპანეთი) — ალბერტ კოსტა (ესპანეთი) 5:7, 6:4, 6:3; **ივან ლიუბიჩიჩი** (ხორვატია) — ანდრეი პაველი (რუმინეთი) 4:6, 6:4, 6:3; **მიხაილ იუჟნი** (რუსეთი) — ფლორიან მაიერი (გერმანია) 6:0, 7:6 (7:4)

საქმე ისე აეწყო, რომ მეოთხედფინალში ერთმანეთს წლევანდელი ჩემპიონთა რბოლის პირველ ორ ადგილოსნები — როჯერ ფედერერი და კარლოს მოია შეეხლებიან.

22 წლის შვეიცარიელმა იმ დღეს ჩილელი მეუკანახაზე გონსალესი მოდრიკა და წლეულს (სამი მარცხის წილ) უკვე 30-ე გამარჯვება მიითვალა, რაიც იმავდროულად (ერთი მარცხის წილ) მეშვიდე თიხნარგამარჯვება იყო.

ნელ-ნელა საუკეთესო ფორმას ვუახლოვდებიო — ამბობდა მერე — ხელუკუღმაც უმჯობესად ვურტყამ და სხვა სათამაშო კომპონენტებშიც აღარ მოვიკოჭლებო.

ტურნირის შარშანდელი ჩემპიონ ფედერერზე ნაკლებ შთამბეჭდავად ამ ეტაპზე არც კარლოს მოია უნდა ბურთაობდეს და ვინმეს ფაქტები თუ ნებავს, აგერ ფაქტებიც: შვეიცარიელის დარად წლეულს სამი ტიტულის მომნაგვრელი მალიორკელი, ვინაც წინა კვირას რომაულ მასტერსზეც იპირველა, საამომენტოდ (ოთხი მარცხის წილ) უკვე 24 თიხნარმოგებას მოიძევს და ამ მაჩვენებლით მთელ ამქარს უსწრებს.

ერთადერთი, ჩაუქი თიხნარობის თვალსაზრისით მის გვერდით და, ვინ იცის, უფრო მეტადაც არის ხსენების ღირსი, შარშანდელი ჩემპიონი გილერმო კორიაა. 22 წლის უფეხმარდეს და ჯიგრიან გაუჩოს შარშანდელი ზაფხულიდან მოყოლებული ამ საფარზე არავისთვის დაუთმია და იმ დღეს უკვე ზედიზედ 29-ედ იმარჯვა.

მეოთხედფინალში კორია დავიდ ფერერს შეხვდება, ვინაც თავის მხრივ ტურნირს 1998 წლის ჩემპიონი ალ კოსტა გამოაკლო.

გამორჩევით აღნიშვნას მოითხოვს ლეიტონ ჰიუიტის კისკასი და ხარისხიანი გარჯა. კორიასი არ იყოს, ავსტრალიელიც თავის მესამე საამსეზონო ტიტულს მიელტვის და ამასობაში იმდენი ქულა დაიგროვა, უკვე ჩემპიონთა რბოლის მეშვიდე ადგილს შესწვდა.

მისი მომდევნო მეტოქე იქნება მეორე წრეში ირაკლი ლაბაძის მძლეველი იურგენ მელცერი. 22 წლის ავსტრიელმა იმ დღეს მარატ საფინი დაიმორჩილა და ნამატჩევს ასე თქვა, კარიერის საუკეთესო ტურნირს ვთამაშობო.

TELEKOM ITALIA MASTERS

რომი. თიხნარი

საპრიზო 1,3 მილიონი ევრო

მესამე წრე

სერენა უილიამსი (1, აშშ) — **დალი რანდრიანტეფი** (მადაგასკარი) 6:1, 6:3; **ამელი მორესმო** (2, საფრანგეთი) — **კონჩიტა მარტინესი** (13, ესპანეთი) 6:3, 6:4; **ჯენიფერ კაპრიატი** (5, აშშ) — **პაოლა სუარესი** (12, არგენტინა) 6:2, 6:2; **სვეტლანა კუზნეცოვა** (9, რუსეთი) — **აი სუგიამა** (7, იაპონია) 6:4, 3:6, 7:6 (7:4); **ვერა ზვონარიოვა** (8, რუსეთი) — **ელენა ბოვინა** (რუსეთი) 6:3, 6:0; **სილვია ფარინა ელია** (10, იტალია) — **მარია შარაპოვა** (რუსეთი) 7:6 (7:3), 6:0; **ფრანჩესკა სკიავონე** (14, იტალია) — **ელენა ლიხოვცევა** (რუსეთი) 6:1, 6:3; **ანა სმაშნოვა-პისტოლეზი** (16, ისრაელი) — **ფლავია პენეტა** (იტალია) 6:2, 6:2

პირველი წრის მსგავსად სერენა უილიამსს არც მეორეში გაუბრწყინია — სუფთა დარტყმებს უზუსტოებიც ბლომად შეურია და რეიტინგსიაში მე-100 ადგილზე მდგომ მადაგასკარელ რანდრიანტეფის 48 წუთში აჯობა. მატჩი კიდევ უფრო მალე უნდა მომეიმასქნებინა, მაგრამ ბევრს მივქარავდიო, ამბობდა ნამატჩევს სერენა და, ცხადია, კმაყოფილი არა ვარო, მერე ისე დასძენდა.

მეორე ნომრად განთესილმა ამელი მორესმომ ტურნირის ოთხგზის, 1993-96 წლების ჩემპიონ კონჩიტა მარტინესს მოუგო, ჯენიფერ კაპრიატი კი უფრო დამაჯერებლად გაუსწორდა პაოლა სუარესს. დღეს მართლაც კარგად ვითამაშეო, ხარობდა ნამატჩევს 28 წლის ჯენიფერარი, თუმცა მისი კარგი თამაშის რეალური ღირებულება თუ მანამდე არა, ნახევარფინალში ნაღდად უნდა დადგინდეს, სადაც ის ალბათ იმავ სერენას გადაეყრება. წინა კვირას ბერლინში ნატიტულარ მორესმოს კი ბადის იქითა მხარეს ფინალამდე ვერავინ უნდა დაემუქროს.

ლევან კელაურაძე

ჯიუდოისტებმა ევროპაში უმედლოდ შეაბიჯეს

ევროპის ორგზის ჩემპიონ საქართველოს ჯიუდოისტთა ნაკრებისთვის ბუქარესტული ევროპის ჩემპიონატი უიღბლოდ დაიწყო. სამდღიანი ტურნირის პირველ დღეს ხალიჩაძე ორი მსუბუქი წონა გავიდა. ნესტორ ხერგიანმა (60კგ) და დავით მარგოშვილმა (66კგ) კარგად დაიწყეს, მაგრამ სიხარული დიდხანს ვერ შეინარჩუნეს.

ევროპის ჩემპიონატი ოლიმპიურ ლიცენზიაზე მეოცნებეთათვის საბოლოო შანსია და ლიცენზიაგანაღდებულებზე მეტი მოტივაცია რომ ჰქონდეთ, რა გასაკვირია. ერთი ნაბიჯიღა აკლდა საათენე ნორმატივამდე აპრილში თბილისის ტურნირზე ნაჭიდავებ ესპანელ ოსკარ პენასს (66კგ) და ბუქარესტში თვით რეიტინგის წინამძღოლი ჩვენებური მარგოშვილი დაამარცხა. მერე თვითონაც წააგო და ქართველი უმედლოდ დატოვა. თავად ბრინჯაომდე მაინც მივიდა და ოლიმპიელობაც იზეიმა. პენასამდე მარგოშვილმა მხოლოდ ერთი ბრძოლის მოგება მოასწრო — პირველ წრეში ბოსნიელ მიტარ მრდიჩი ჩამოაცილა.

საწყისი ორი შეხვედრა მოიგო ჩვენი გუნდის ერთ-ერთმა მთავარმა იმედმა ნესტორ ხერგიანმა. მესამე ბარიერზე კი საბერძნეთის სახელით მოჭიდავე რევაზ ციდირიდისთან წაიფორხილა და სანუგეშო ბადეში ჩაეცერა. იქ უკვე უნგრელ ლასლო ბურჟანთან დაყარა ფარხმალი.

„უკეთეს შედეგს ველოდი, იმედგაცრუებული კი დავრჩი — გვითხრა შოთა ხაბარელმა — იყო მთელი რიგი მიზეზები, მათ შორის მსაჯთა არაობიექტურობაც, მაგრამ ბიჭებმა ცოტ-ცოტა თავადაც შესცოდეს. სამწუხაროდ, პირველი დღე უმედლოდ დავასრულეთ. იმედია, ხვალ-ზეგ მაინც ვიმარჯვებთ და ჯამში რვა საუკეთესო ნაკრებშიც მოვხვდებით.“

დღეს საჭიდაოდ დავით ქევხიშვილი (73კგ) და გრიგოლ მამრიკიშვილი (81კგ) გავლენ, ხვალ კი მინდია ბოდაველი (90კგ), ივერი ჯიქურაული (100კგ) და ლაშა გუჯეჯიანი (+100კგ).

ოთარ ბალლაკელიძე

87 giro d'italia

ჯირო დიტალია 2004. 8-30 მაისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომაელების ნატერფალზე ჯიროს ჰეტაკი ეტაკა

ალესანდრო პეტაკიმ საწყისი ექვსი ეტაპიდან სამი მოიგო

ჯიროს ქარავანი ტაატით მიწკარუნობს ცენტრალური იტალიის ბორცვოვან მიწაზე. თითქმის არაფერი ხდება. ასრალაცა კილომეტრიდან პელოტონი ისე გაივლის ასრაღაცას მინუს ერთს, რომ რომაელთა უძველესი სამფლობელოების სოფლის მწვანე პეიზაჟით უფრო დატკბები, ვიდრე ტაქტიკისა და შეტევაზე ფიქრით. შესატევიც არსადაა და ამიტომ. მთები აქ არაა და არაფერი, რომ ვისაც თავისი რკინის მუხლის იმედი აქვს ფერდობზე გაქუსლოს და ყველა დანარჩენი ჩამოიტოვოს. ასობით მრბოლი, ჰა-ჰა, იმ რამდენიმესაათიანი დისტანციის ბოლო კილომეტრზე დააწვეს პედალს ოდნავ მეტად. სპრინტერები აქლა დაივწყებენ დაღლილობას და ბოლო მეტრებში ფეთიანივით გაქუსლავენ. აქ მხოლოდ გამარჯვებულს ხვდება საჩუქრად ზედმეტი 10 წამი (ბევრი არაფერია) და სამახსოვრო ფოტო.

იტალიელი ალესანდრო პეტაკი ვაკიანი ეტაპების სხვებზე 30 სანტიმეტრით წინ დამთავრების ოსტატია. ჯირომ ექვსი ეტაპი გამოიარა და აქედან სამის ფინიშის იქით სწორედ სანდრო შედგა პოდიუმზე. გუშინწინ მას და სხვა სპრინტერებს ავსტრალიელმა რობი მაკევენმა აჯობა, გუშინდელი დღე კი პეტაკისა გახლდათ.

ფინიშს მცირე ინტრიგა შესძინა ბოლო კილომეტრებზე მცირე დახრილობამ, რამაც ცოტა ააჩქარა ქარავანი. დედაქალაქ რომიდან 30-იოდ კილომეტრში ეტაპის ბოლო წერტილ, დაბა ვალმონტონეს ჩახვეულმა ქუჩებმაც გააფერადა ეტაპის დასასრული. ყველაფერს თან დაერთო წვიმაც, რომელმაც გვარიანად დაასველა ვალმონტონეს ქვაფენილი და ზედ ფინიშის უკან იმსხვერპლა — ცხადია, მსუბუქი ფორმებით — გუნდ „დომინა ვაკანზეს“ ერთი ესტონელი მრბოლი.

ბევრად საინტერესო ფინიში ექნება შემდეგ ეტაპს, რომელიც, მართალია, სულ ვაკეზეა გაფენილი, მაგრამ სამაგიეროდ ნაპოლის მახლობლად ვეზუკის მთის ფერდობებზე 17-კილომეტრიანი აღმართის თავში სრულდება. ჯიროს ქარავანი აქამდე მხოლოდ ერთხელ ასულა ამსიმაღლეზე — გადასაკვეთი ხაზი ზღვის დონიდან 1 270 მეტრზეა გავლებული.

კოტე ყორშია

მე-6 ეტაპი. 14 მაისი. სპოლეტო — ვალმონტონე. 164 კმ

1 ალესანდრო პატაკი (იტალია) ფასა ბორტოლო	4 სთ, 00 წთ, 55 წმ
2 ოლაფ პოლაკი (გერმანია) გეროლშტეინერი	
3 ალეხანდრო ბორახო (არგენტინა) კერამიჩე პანარია	ორივეს იგივე დრო

საერთო ჩათვლა

1 ჯილბერტო სიმონი (იტალია) საეკო	27 სთ, 35 წთ, 30 წმ
2 დამიანო კუნეგო (იტალია) საეკო	+13 წმ
3 იაროსლავ პოპოვიჩი (უკრაინა) ლენდბუკრედიტი	+21 წმ

სარბიელი გამოსაცდელი ვადით საათანამშრომლოდ იწვევს უცხოურ და შინაურ ჟალათბურთზე, რაგბიზე, ჟრივზე, ველოსპორტზე, მძლეოსნობასა და სხვა სახეობებზე წერის მსურველ ახალგაზრდებს.

15-დან 17 საათამდე მოგვმართონ მხოლოდ მათ, ვისაც ქართულად ნათლად წერა შეუძლია და ერჯვევა ზემოთ ჩამოთვლილ სახეობებში.

სასურველია რომელიმე უცხო ენის ცოდნაც.

ბილ რასელი ღამის შოუში

ბილ რასელი მობერებულა, მაგრამ ყოჩაღი და ხალისიანია. ენბიეის თერთმეტგზის ჩემპიონი და ხუთგზის უძვირფასესი მოთამაშე ახლა ამერიკაში მოგზაურობს „ენბიეის ლეგენდათა ტურით“ და კრეიგ კილბორნის ღამის შოუშიც მისულა. წამყვანი ეკითხება ვარსკვლავს: მისტერ რასელ, რას ჰგავს ენბიეის აი, ეს თასი?

REUTERS ლოს ანჯელესიდან

REUTERS ბუენოს აირესიდან

ხალისი კალგარიში

ახლა კალგარიში კარგ ხასიათზე არიან, იქაური „ფლეიმზი“ დასავლეთის ფინალში „სან ხოსეს“ ამარცხებს და ამიტომ „სედლდომის“ დარბაზის ახლოს სახალისო ამბები ხდება. კლუბის პრეზიდენტი კენ კინგი კლუბის ფანებს ჰოკეის ეთამაშება, მცველი სტივ მონტადორი კი ერთგული გულშემატკივრის მანქანას ამკობს ავტოგრაფით.

REUTERS კალგარიდან

დალმა

დალმა მარტოა. ჩვეულებრივ, ის მამასთან, დიეგო არმანდო მარადონასთან ერთად დადის ხოლმე „ბოკას“ თამაშებზე და ჩვეულ ადგილზე დგას „ბომბონიერას“ სტადიონზე. მაგრამ ფეხბურთის ჭირვეული ღმერთი კვლავ ავადაა და დელ პარკეს კლინიკაში კოკაინისგან თავის დაღწევას ლამობს. ამიტომ დალმა ნერეა მარადონა მარტოა.



REUTERS ტაიტიდან

ტაიტის წყლებში

ავსტრალიელი სერფინგის მსოფლიო ჩემპიონი მარკ ოჩილუპო მთელი მუღამით ჩაბმულა „ბილაბონგ პროში“, რომელიც ტაიტიზე, ტეაჰუპოს ნაპირად მიმდინარეობს. „ბილაბონგი“ კაც მოსერფეთა 12-შეჯიბრიანი მსოფლიო ტურის მესამე ეტაპია, რომელშიც 45 რჩეული და სამიც ველური ბარათის მფლობელი მონაწილეობს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოძრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge